ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 27 ივლისი 2004 №171 (2192) ფასი 50 თეთრი

# მტკვარი თუ ვისლა?

დღეს ეროვნულ სტადიონზე საქართველოს და პოლონეთის ჩემპიონთა მატჩია — ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე სუსტი გუნდები აღარ არიან და „ვიტ ჯორჯია“ ნაფარერევს კრაკოვის „ვისლას“ ერკინება. პოლონელებს მათი ეროვნული ნაკრების ყოფილი თავკაცი ჰენრი კასპერჩაკი წვრთნის და ამბობს, რომ მისთვის მთავარი მოგებაა და ამას რა ანგარიშით შეძლებს, უმნიშვნელოა. „ვიტ ჯორჯიას“ დამრიგებელი მერაბ კოჭლაშვილი კი გამთლიანებისკენ მოგვიწოდებს — ფარერებზე 0:3 რომ წავაგეთ, დაივიწყეთ და გვიქომაგეთო, სანაცვლოდ კი ვიტელთა მწვრთნელი სულ სხვა „ვიტ ჯორჯიას“ გვპირდება.

## რა ვიცით კრაკოვული ჩვენ? ძეხვი





რა იცის ვისლას პრეზიდენტმა ჩვენი? ქართული ფეხბურთი ლოლობერიძიდან ყიფიანამდე და საჰაკაშვილი

*იხილეთ ხვალინდელ „სარბიელში“*

რას ეჭვობს ვიტ ჯორჯიას მწვრთნელი მერაბ კოჭლაშვილი ვისლაზე: არ გამოვრიცხავ, რომ მარცვალაძის პროვოცირება შეკვეთილიც იყო. ისე შეხმატკბილებულად ლაპარაკობდნენ „ჰაფნარისა“ და „ვისლას“ წარმომადგენლები, რომ...



მერაბ კოჭლაშვილი ოთარ მარცვალაძის დისკვალიფიკაციას მისტირის




ვის როგორი პრესა ექნება? „ვიტ ჯორჯიას“ უფროსობამ „ვისლას“ ვარჯიში ნახა




# კლინსმანი შარით იწყებს: აილტონი



მოაწერა! გუშინ იურგენ კლინსმანი ოფიციალურად გახდა გერმანიის ეროვნული გუნდის მწვრთნელი, კონტრაქტის თანახმად, გერმანიის ფეხბურთის ისტორიაში რიგით მეცხრე და ყველაზე ახალგაზრდა ბუნდესმწვრთნელი ნაკრებს მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის დასრულებამდე უთავკაცებს.

ცნობილი ამბავია, რომ 39 წლის კლინსის ახალი გუნდის შენებაში ოლივერ ბირჰოფი და ჰოლგერ ოსიეკი დაეხმარებიან, თუმც ამ ორის ხელმოწერა გუშინდელ კონტრაქტზე არაა — ეს საქმე ხუთშაბათამდე აუცილებლად მოგვარდებაო, გვაუწყებს „ბილდი“ და იქვე ერთ სენსაციურ ამბავსაც გვამცნობს: ოსიეკს თურმე კლინსმანისთვის ბუნდესნაკრებში თამაშის მოსურნე ბრაზილიელის, აილტონის გაგერმანელება ურჩევია, რაც იურგენს შორს დაუჭერია. „ბილდი“ შიშობს, ვაითუ, აილტონის ამბავმა ჯერაც ვერშემდგარ სამწვრთნელო შტაბში უთანხმოება ჩამოაგდოსო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005

CHAMPIONS LEAGUE

II საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი

თბილისი. 27 ივლისი. 18 საათი. ეროვნული

## ვიტ ჯორჯია — ვისლა





ბადრი ქოთოლაშვილის ფოტო

## გუშინ. პრესკონფერენციაზე

*„ვიტ ჯორჯიას“ და „ვისლას“ მთავარმა მწვრთნელებმა მერაბ კოჭლაშვილმა და ჰენრი კასპერჩაკმა გუშინ ეროვნულ სტადიონზე პრესკონფერენცია გამართეს. თარჯიმნობა „ვისლას“ პრეზიდენტმა ტადეუშ ჩერვინსკიმ ითავა, მოსკოვში ვმუშაობდი და რუსული იქ ვისწავლეო...*

*ჰენრი კასპერჩაკმა* კი საუბარი ამით დაიწყო...

... ჩვენი მთავარი ნაკლი ახლა ისაა, რომ „ვისლა“ სათანადო ფორმაში არ არის, პოლონეთის ჩემპიონატში შესვენებაა, ფრანგული შეკრებიდან კი სულ ორი დღეა, დავბრუნდით. „ვიტ ჯორჯიასთან“ მატჩი ჩვენთვის პირველი ოფიციალური შეხვედრა იქნება.

... თანამედროვე ქართულ ფეხბურთზე ბუნდოვანი წარმოდგენა მაქვს, სამაგიეროდ, ძალიან კარგად ვიცნობდი 60-70-იანი წლების ქართულ ფეხბურთს და ფეხბურთელებს.

... „ვიტ ჯორჯიაზე“, ფაქტობრივად, არანაირ ინფორმაციას არ ვფლობ. ეს გუნდი მხოლოდ ფარერებზე ნახეს ჩვენმა წარმომადგენლებმა, იმ მატჩიდან კი დასკვნების გაკეთება ძნელი იყო — თქვენებს საშინაო მატჩი 5:0 ჰქონდათ მოგებული.

... ჩვენი გუნდის ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი, ნიგერიელი უჩე ტრავმირებულია. ეს დიდი დანაკლისია, გუნდს მისი გამორჩეული ინდივიდუალობა მოაკლდება.

... ტაქტიკაზე მატჩის წინა დღეს არ ვლაპარაკობ, ამას თამაშამდე რამდენიმე საათით ადრე გავაკეთებ.

... ჩვენი გუნდი მარტო თავდასხმაზე არ ფიქრობს, ვთამაშობთ თანამედროვე ფეხბურთს — მთელი გუნდი შეტევაშიც და დაცვაშიც.

... ჩემი მთავარი ამოცანაა, გუნდი მოგებისთვის განვაწყო, რა ანგარიშით მოვიგებთ, მნიშვნელობა არ აქვს.

კასპერჩაკი დაგვემშვიდობა, „ვისლას“ ვარჯიში ეწყებოდა, ჟურნალისტთა პირისპირ კი „ვიტ ჯორჯიას“ მთავარი მწვრთნელი *მერაბ კოჭლაშვილი* დარჩა

... „ვისლასთვის“ მზადება, ფაქტობრივად, „ჰაფნარით“ დავიწყეთ, ვინაიდან დარწმუნებულები ვიყავით, რომ ეს შეხვედრა შედგებოდა. ვერ ვიტყვი, რომ მეტოქეს კარგად ვიცნობ, თუმცა რაც კასპერჩაკმა იცის ჩვენზე, იმაზე მეტი თუ არა, ნაკლები ნაღდად არ ვიცი „ვისლაზე“.

... სერიოზული გუნდია, მარტო ის რად ღირს, რომ ნაკრების 6-7 ფეხბურთელი ჰყავთ. მთელი სერიოზულობით ვემზადებოდით. ფარერებზე განმეორებითი მატჩი ამ შეხვედრისთვის მოსამზადებლად გამოვიყენეთ. ტორსჰავნში წაგება უნდა დავივიწყოთ და გავმთლიანდეთ, რათა „ვიტ ჯორჯიას“ „ვისლასთან“ ქომაგი არ მოაკლდეს.

... ბევრი საყვედური წავიკითხე იმის შესახებ, ფარერებზე ესა თუ ის ფეხბურთელი რატომ არ დაასვენეო. ეს კარგი ცხოვრებისგან არ გამიკეთებია. ჩვენ მდიდარი კლუბი არ ვართ, ფეხბურთელებს არ ვყიდულობთ და არც სათადარიგო სკამი გვაქვს გრძელი.

... ფარერებზე თამაში დავმალეთ, ვიცოდი, პოლონელები გვაკვირდებოდნენ. ჩვენ სულ სხვა განლაგებით ვითამაშეთ, კუთხურებსაც სხვანაირად ვაწვდიდით. ნახავთ, პოლონელებთან როგორ ვიმოქმედებთ. ფეხბურთში მეტოქისთვის კოზირების დამალვა ჩვეულებრივი ამბავია.

... მარცვალაძე მართლაც გამორჩეული ფეხბურთელია. შესვენებაზე ბიჭები ტიროდნენ, ეს რა გვიყავი, „ვისლასთან“ ძალიან დაგვაკლდებიო. არ გამოვრიცხავ, რომ მისი პროვოკაციაზე წამოგება შეკვეთილიც იყო. ისე შეხმატკბილებულად ლაპარაკობდნენ „ჰაფნარისა“ და „ვისლას“ წარმომადგენლები, რომ... თუმცა ერთი შეღავათიც გვაქვს, ყვითელ ბარათებს გადავურჩით.

... ადამია ითამაშებს თუ არა, ამას ჯერ ვერ გეტყვით. თუმც ის შეკრებაზე ჩვენთანაა. ერთი მომენტიცაა, ადამია მათთვის აბსოლუტურად უცნობი ფეხბურთელია.

... ბევრი იქნება დამოკიდებული იმაზეც, თუ როგორ წაუვათ თამაში ორივე გუნდის წამყვან მოთამაშეებს. სულ იმას ვფიქრობ, რა ტაქტიკა დავუპირისპირო მეტოქეს, რომელი იქნება მომგებიანი.

... ჩვენს ტაქტიკას მოგებაზე ავაწყობთ. თუმცა ისე უკანმოუხედავად არ შევუტევთ, როგორც ფარერელებთან, ზურგის მოშიშვლებას „ვისლა“ არ გვაპატიებს. ძალიან გამოცდილი მეტოქეა.

... აუტსაიდერის სტატუსით ყოფნა ეგებ კარგიც იყოს. შეკრებაზე ბიჭებს ვაკვირდებოდი და დავრწმუნდი, რომ ფსიქოლოგიურად დათრგუნულები სულაც არ არიან. თამაშის წინ კი ზედმეტ დაძაბულობას მოვიხსნით.

**დავით ერაძე**

# ვისლა სველზეც გამოჩნდა

*პოლონური „ვისლა“, „ვიტ ჯორჯიას“ დღევანდელი მეტოქე თბილისში გუშინ, სამი საათისთვის ჩარტერული რეისით ჩამოფრინდა. კრაკოველებმა ცოტა ხანს სასტუმროში მოისვენეს და ეროვნული სტადიონის ნაწვიმარ მოედანზე 45 წუთი ივარჯიშეს. ჰენრი კასპერჩიკი გუნდს სტადიონზევე დახვდა, თუმც შეგირდების გამოჩენამდე ცოტა ხანს ლოდინი დასჭირდა და პრესკონფერენციის შემდეგ მსაჯთა ოთახში სტადიონის მომსახურე პერსონალთან საუბრით იქცევდა თავს*



ბადრი ქოთოლაშვილის ფოტო

ტადეუშ ჩერვინსკიმ მაცეი ჟურავსკისთანაც გვითარჯიმნა

გუნდმა კი გერმანული პუნქტუალობით, გაჭიმულ ექვს საათზე დაიწყო ეროვნულის ისედაც უვარგისი გაზონის გათელვა. თუმც მერე ნაწვიმარზე ვარჯიში კრაკოველებმა ინანეს, ამაღამ კიდევ თუ იწვიმა, მოედანი მთლად გაფუჭდება, რაც ბურთის გაგორებაში ხელს შეგვიშლისო. ბურთის გორება კი, იცოცხლეთ, „ვისლას“ კარგად უნდა ეხერხებოდეს. მთელი ვარჯიშისას კასპერჩაკი ფეხბურთელებს ბურთის დაჭერას არ ანებებდა და ერთი შეხებით პასს სთხოვდა. „ვისლას“ ეს თითქმის უშეცდომოდ გამოსდიოდა და აკი ვარჯიშის ტემპიც მაღალი იყო. თამაშისას კრაკოველები ალბათ დამატებით სიჩქარეებს ჩართავენ და, ვეჭვობთ, უსუსურ ფარერულ „ჰაფნართან“ დიდი ანგარიშით დამარცხებულ „ვიტ ჯორჯიას“ ბევრ პრობლემას შეუქმნიან. სხვათა შორის, „ვისლას“ გუშინდელ ვარჯიშს „ვიტ ჯორჯიას“ პრეზიდენტით დაწყებული, გუნდის ტექნიკური პერსონალით დამთავრებული, ყველა უცქერდა. მწვრთნელმა კოჭლაშვილმა რა ჩაინიშნა, ვერ გეტყვით, მაგრამ პოლონელებმა თბილისში თითქმის უძლიერესი შემადგენლობა, ბრგე, ჯანმაგარი ფეხბურთელები რომ ჩამოიყვანეს, „ვიტ ჯორჯიას“ მწვრთნელისთვის ეს საყურადღებო ამბავი უნდა იყოს.

„ვისლამ“ ვარჯიში რომ დაამთავრა, მოედანზე გუნდის ლიდერი ჟურავსკი, შიმკოვიაკი და კუკიელკა დარჩნენ და საჯარიმო მოედნის სიახლოვიდან კარში ურტყეს. კრაკოველთა ათი დარტყმიდან რვა ზუსტი იყო.



ბადრი ქოთოლაშვილის ფოტო

მარჩინ ბარშევსკის სლალომი არ გამოუვიდა

მერე კი პოლონეთის ნაკრების ფორვარდი მაცეი ჟურავსკიც მოგვიახლოვდა და „ვისლას“ პრეზიდენტის ტედეუშ ჩერვინსკის დახმარებით ერთ-ორ კითხვაზე გვიპასუხა.

— მეტოქეზე არაფერი ვიცი და ვერ გეტყვით, ხვალ რა იქნება. სტუმრად თამაში ყოველთვის ძნელია, თუმცა ჩვენ, რა თქმა უნდა, მოსაგებად ჩამოვედით, ვითამაშებთ და ვნახოთ.

— მოედანი ნორმალურია?

— გაზონი გაუკრეჭავი იყო და წვიმის მიუხედავად, ბურთი ისე სწრაფად არ დაგორავდა, როგორც ჩვეულებრივ სველ მოედანზე. სტადიონი მართლაც ჩინებულია, მაგრამ აშკარად ეტყობა, რომ მოუვლელია. დღეს აქ არ უნდა გვევარჯიშა, მოედანი ავატალახეთ და ხვალამდე თუ გამოასწორებენ, კარგი იქნება, თუ არა, თამაში ორივე გუნდს გაუჭირდება.

— ახლა რომ საჯარიმო დარტყმებში წაივარჯიშეთ, ჩავთვალოთ, რომ ხვალ ჯარიმებს თქვენ დაარტყამთ?

— ამას მწვრთნელი ხვალ იტყვის, ჯარიმების შესრულებას ან მე დამავალებენ, ან სხვას.

— ბევრი დამრტყმელი გყავთ?

— სამი-ოთხი ფეხბურთელი კარგად ურტყამს.

— თქვენ?

— ხვალ თუ დავარტყამ, ეს თავად შეაფასეთ. ბურთს რომელ კუთხეს დავუმიზნებ, ამას კი არ გეტყვით.

**კობა ინასარიძე**

# ქართველებს კატოვიცედან გიცნობთ

*ტომაშ კლოსი „ვისლას“ და პოლონეთის ნაკრების მცველია, მას საქართველოს ნაკრების წინააღმდეგაც უთამაშია კატოვიცეში 1997 წელს*



ბადრი ქოთოლაშვილის ფოტო

— რა იცით თქვენი მეტოქის შესახებ?

— სამწუხაროდ, ძალიან ცოტა. „ვიტ ჯორჯიას“ ფარერული მატჩის ფირი ვნახეთ. ვეჭვობ, რომ იქ თქვენი გუნდის რეალური ძალა ჩანდა, პირველი შეხვედრა ხომ 5:0 მოიგეთ.

— „ვისლა“ უპირატესობას შემტევ ფეხბურთს ანიჭებს...

— თუ არ შეუტიე, ისე ვერ მოიგებ. თუმცა ჩვენი გუნდი კარგადაა დაბალანსებული, მოედნის ნებისმიერ მონაკვეთზე ბოლომდე ვიბრძვით, ფეარ პლეის პრინციპებსაც ვიცავთ და წითელ-ყვითელ ბარათებსაც ძალიან ცოტას ვიღებთ.

— ნიგერიელი უჩეს არყოფნა დიდი დანაკლისია თქვენი გუნდისთვის?

— უჩე მართლაც კარგი ფეხბურთელია, მაგრამ ჩვენი გუნდი ერთ ფეხბურთელზე არასოდეს ყოფილა დამოკიდებული. უჩეზე მეტად მალევებს ნახევარდაცვის ლიდერის შიმკოვიაკის ამბავი. თუ ის ხვალ ითამაშებს, ბევრად გაგვიიოლდება საქმე

— ქართულ ფეხბურთს, ქართველ ფეხბურთელებს თუ იცნობთ?

— კარგად ვიცნობ პოლონეთში მოთამაშე მამია ჯიქიას. მე თქვენი ნაკრების წინააღმდეგ იმ მატჩშიც ვითამაშე, 4:1 რომ მოვიგეთ. ახლაც მიკვირს, ასე უსუსურად რატომ ითამაშა ძლიერი ფეხბურთელებით დაკომპლექტებულმა თქვენმა ნაკრებმა. ქართველებმა ანგარიში რომ გაგვითანაბრეს, ვიფიქრე, შემოგვიტევენ-მეთქი, მაგრამ თქვენებს ამაზე ალარც უფიქრიათ.

— ხვალინდელი მატჩის თქვენეული პროგნოზი როგორია?

— დარწმუნებული ვარ, რომ მძიმე თამაში იქნება, ამას თანაგუნდელებსაც ვეუბნები. კარგი იქნება, გოლს თუ გავიტანთ.

**დავით ერაძე**

დღეს „ვიტ ჯორჯიას“ მისთვის ყველაზე ძნელი და ალბათ ყველაზე საპასუხისმგებლო მატჩი ელის. საქართველოს ჩემპიონი ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე პოლონურ „ვისლას“ მასპინძლობს. შედეგი, რა თქმა უნდა, მთავარია, მაგრამ ამ მატჩით „ვიტ ჯორჯიას“ ფარერებზე შელახული რეპუტაციის აღდგენის შანსიც ეძლევა.

ამაზეც და სხვაზეც ინტერვიუ „ვიტ ჯორჯიას“ კაპიტანთან ლაშა ნოზაძესთან

## ვისლას თორმეტნი თუ ვაჯობებთ მოხვალთ? არ ინანებთ!

— რა მდგომარეობაა გუნდში „ვისლასთან“ მატჩის წინ?

— განწყობა საბრძოლოა, მზადება თავდაუზოგავი. ფარერული კოშმარი დავივიწყეთ.

— ფარერული შოკი ასე ადვილად დასავიწყებელი არ უნდა იყოს...

— ჩვენ იქ მოედანზე ისეთი განწყობით გავედით, რომ 0:0 გვეთამაშა და ტრავმები აგვერიდებინა. ვიცოდით, მასპინძლები არაფერზე უკან არ დაიხევდნენ. მერე აბსოლუტურად უწყინარ სიტუაციაში მარცვალაძე გაგვიგდეს, რამაც ძალიან აგვრია. მაგრამ, ხომ გითხარით, ის თამაში ყველამ დავივიწყეთ და ახლა „ვისლასთან“ რეპუტაციის აღდგენაზე ვფიქრობთ.

— მეტოქეს ალბათ შეისწავლიდით, თქვენ მათი თამაშების ვიდეოფირებიც გქონდათ. როგორი შთაბეჭდილება დატოვა „ვისლამ“?

— ძალიან ძლიერი გუნდია, თუმც თბილისში დანაკლისის გარეშე ვერ მოდიან, ერთი წამყვანი ფეხბურთელი ტრავმირებული ჰყავთ, თუ არ ვცდები, ნიგერიელია, გვარად უჩე.

— პოლონეთში მოთამაშე მამია ჯიქიამ გვითხრა, „ვისლას“ მთავარი ძალა შეტევააო...

— მართლაც თვალშისაცემაია, რომ „ვისლა“ უპირატესობას შეტევას ანიჭებს, ამიტომ ჩვენ ჩვეული სტილი — სწრაფ კონტრშეტევებზე თამაში უნდა დავუპირისპიროთ.

— გიორგი ადამიას საკითხი გადაწყდა?

— მგონი, ითამაშებს, ჩვენთვის ძალიან დიდი ძალაა და გაგვაძლიერებს.

— მარცვალაძე კი ძალიან დაგაკლდებათ...

— მარცვალაძე რომ გვყოლოდა, შემდგომ ეტაპზე გასვლის უკეთესი შანსი გვექნებოდა.

— ახლა კი შანსები ძალიან მცირეა?

— ფეხბურთში ყველაფერი ხდება და განწირულები ნაღდად არ ვართ. მთავარია, თბილისში როგორ მოვუგებთ მეტოქეს.

— სიუპრიზებს უმზადებთ პოლონელებს?

— სიურპრიზები იქნება, ოღონდ, ცხადია, ახლა ვერ ვიტყვი, თამაშზე ნახავთ.

— ეს მატჩი რითაა გამორჩეული „ვიტ ჯორჯიასთვის“?

— გუნდის ისტორიაში ერთ-ერთი გამორჩეული შეხვედრა იქნება. თუ რას წარმოვადგენთ, სწორედ ასეთ მეტოქეებთან უნდა გამოჩნდეს.

— გუნდის ბირთვი ჯანზეა?

— საბედნიეროდ, ყველანი ჯანმრთელად არიან, ტრავმებს არავინ უჩივის.

— მართალია, ფარერებზე მარცხით ქომაგებს გული ატკინეთ, მაგრამ როგორც გუნდის კაპიტანი, რას ეტყოდი მათ?

— მოვიდნენ, გაგვამხნევონ, რაც მოხდა, ჩვენთან ერთად დაივიწყონ და არ ინანებენ — „ვიტ ჯორჯია“ ბოლომდე იბრძოლებს, რათა მოიგოს და პოლონური გუნდი გაიაროს. მაყურებლისთვის ვთამაშობთ და კარგი იქნება, თუ პოლონელებს მეთორმეტე მოთამაშითაც დავუპირისპირდებით.

**დავით ერაძე**


კაპიტანი „ვიტ ჯორჯიასთვის“ საიმედო საყრდენიცაა

რეკლამა
სარბიელ–ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# შამქირი — მკვლელი



„შამქირი“, უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე „თბილისის“ მეტოქე ის გუნდია, რომელმაც ორი წლის წინ აზერბაიჯანული ფეხბურთი ასახელა და პირველად ქვეყნის ისტორიაში ევროთასის პირველი ეტაპი დაძლია. თუ გახსოვთ, „შამქირმა“ ამ წარმატებას ლატვიური „სკონტოს“ ძლევით მიაღწია.

ახლა ეს აზერბაიჯანული კლუბი ისტორიის გამეორებისკენ მიისწრაფვის და თბილისური 0:1-ის გაბათილებისა და ჯამში გამარჯვების დიდი იმედი აქვს. ყოველ შემთხვევაში, „შამქირის“ მოთამაშე და მწვრთნელის თანაშემწე ბადრი კვარაცხელია ამბობს, რომ გუნდი „თბილისის“ დასამარცხებლად სერიოზულად ემზადება

## თბილისის აწყობილს კვარაცხელია დაშლის

— წმინდა სპორტულ ინტერესზე რომ არაფერი ვთქვათ, ქართული გუნდის დამარცხება აზერბაიჯანელთათვის პრესტიჟის საქმეა. ქართველ ფეხბურთელებსა და საერთოდ ქართულ ფეხბურთს აზერბაიჯანში აღმერთებენ და „შამქირმა“ რომ „თბილისს“ მოუგოს, წარმომიდგენია, აქაურები როგორ გაიხარებენ — გვითხრა გუშინ ბადრი კვარაცხელიამ, რომელსაც შამქირში დავუკავშირდით — გუნდი თბილისელებთან სათამაშოდ განსაკუთრებულად ემზადება. დღეიდან უკვე შეკრებაზე გადავდივართ, ასეთი მონდომებული „შამქირი“ არ მინახავს. და რაც მთავარია, აქ ყველას სჯერა, რომ შემდეგ ეტაპზე სწორედ ჩვენი გუნდი ითამაშებს.

— ყოველი საერთაშორისო მატჩის წინ ასეთი განწყობაა შამქირში?

— მაგალითად, „სკონტოსთან“ თამაშამდე გუნდის წარმატებისა ბევრს არ სჯეროდა, თუმცა მოვახერხეთ და ლატვიელები დავამარცხეთ. ახლა კი, ხომ გითხარით, ქალაქში დიდი აჟიოტაჟი და „შამქირის“ გამარჯვების მოლოდინია.

— და ამ ოპტიმიზმს რა განაპირობებს?

— პირველ ყოვლისა, თბილისურ მატჩში „შამქირის“ კარგი თამაში. მწვრთნელი, ფეხბურთელი, ჟურნალისტი, ქომაგი, პირველი მატჩით ყველა კმაყოფილი დარჩა. და მერე ანგარიში, 0:1 სულაც არაა გაუბათილებელი სხვაობა.

— თბილისურ მატჩთან შედარებით „შამქირის“ შემადგენლობაში ბევრი ცვლილება იქნება?

— არა მგონია. მატჩამდე სამი დღეა დარჩენილი და შემადგენლობა, რა თქმა უნდა, ჯერ უცნობია, მაგრამ საქმე ისე მიდის, რომ თბილისური შემადგენლობა, ჰა-ჰა, ერთი ფეხბურთელით შევცვალოთ. შამქირში ერთი თავდამსხმელით აღარ ვითამაშებთ, გოლები გვჭირდება და წინა ხაზს გავაძლიერებთ.

— შესაძლოა, სამი ფორვარდით ითამაშოთ?

— არა, შემტევი ფეხბურთის მოყვარულ „თბილისთან“ სამი ფორვარდით თამაში ჩვენთვის დამღუპველი იქნება. უფრო 4-4-2 სქემას გამოვიყენებთ.

— ქართველები, ჭინჭარაული და ბართია ითამაშებენ?

— ჭინჭარაული ალბათ ითამაშებს, თუმც მას ცუდი პრესა აქვს. თბილისური მატჩის შემდეგ ზოგზოგმა მას ღალატი დასწამა, აქაოდა, უგულოდ თამაშობდაო. ჩვენ, მწვრთნელებმა და მთლიანად გუნდმა კი ჭინჭარაულს მსგავსი ვერაფერი შევამჩნიეთ.

— თავად თუ ითამაშებ?

— ვერ ვითამაშებ, დისკვალიფიკაცია უნდა მოვიხადო, ორი მატჩი კიდევ დამრჩა. თუმც ამ სეზონში უეფას თასზე თამაშს ალბათ კიდევ მოვასწრებ.

— ეს კი „თბილისის“ დამარცხებას ნიშნავს...

— კი, ასე გამოდის...

— „თბილისის“ დამარცხებისთვის „შამქირს“ რაიმე განსაკუთრებული პრემიები ექნება?

— არა, ჩვეულებრივი. თუმც აზერბაიჯანელებს ფულზე მეტად „თბილისის“ დამარცხება გაახარებთ. ასე ვქთვათ, დიდი ენთუზიაზმით ითამაშებენ.

— შამქირში ასეთი ინტერესი თუ არის, ესე იგი, სტადიონიც გაივსება.

— არ ვიცი, დღეს რამდენი ბილეთია გაყიდული, მაგრამ ვფიქრობ, რომ ძალიან ბევრი უბილეთოდ დარჩება. 11-ათასიან სტადიონზე, პირობას გაძლევთ, ანშლაგი იქნება.

— მეტოქეზეც ხომ უნდა ვთქვათ და, რას ფიქრობთ, 1:0-ის შემდეგ საპასუხო მატჩში „თბილისი“ დაცვიდან ითამაშებს?

— ჯერ იმას გეტყვით, რომ არ მესიამოვნა „თბილისის“ მეტოქეობა. თბილისში რამდენი ჩამოვედი, იმდენი ამ გუნდის თამაშზე ვიყავი, კარგი გუნდია, პერსპექტიული ბიჭებით დაკომპლექტებული და ლამაზ ფეხბურთსაც თამაშობენ. „თბილისის“ ქომაგი ვარ და ამ გუნდის წინააღმდეგ თამაში არ მსურდა. შამქირის მატჩზე კი, ვფიქრობ, „თბილისი“ დაცვას გააძლიერებს, მაგრამ რაღაც მონაკვეთებში დიდი ძალებით შემოგვიტევს. ჩვენ მათ აფეთქებას ყოველ წუთს უნდა ველოდოთ. „თბილისს“ კარგი, სწრაფი თავდამსხმელები ჰყავს. „შამქირი“თამაშს არ გახსნის. ამას, ალბათ, უფრო „თბილისი“ გააკეთებს.

— შენი აზრით, „შამქირი“ თამაშს „მოკლავს“?

— „თბილისმა“ თუ გაგვიტანა, საქმე ძალიან ცუდად გვექნება. ამიტომაც სტუმრებს თავისუფლად თამაშის საშუალებას არ მივცემთ.

**კობა ინასარიძე**


„შამქირის“ მეკარე მიხაილ იუსიფოვს თბილისში ერთი გოლი აქმარეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჟირესი გზაშია



**საქართველოს** ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ალენ ჟირესი თბილისში მაშინ უნდა ჩამოსულიყო, როცა ქართულ გუნდებს ევროტურნირები დაეწყოთ. თუმცა მუსიე ჟირესმა გეგმა შეცვალა — ჩია ფრანგი თბილისში ხვალ უნდა ჩამოფრინდეს, ხოლო 29 ივლისს „დინამო"-ბატეს დაესწრება.

უახლოესი მატჩი კი საქართველოს ეროვნულ გუნდს 18 აგვისტოს აქვს — სტუმრად მოლდოვას ამხანაგურად გაეჯიბრება.

## უეფას თასი 2004-2005

UEFA CUP პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი UEFA CUP

# ბატე ხვალ მოდის და 3 ლარი ეღირება

**ბორისოვის ბატე** ჩარტერული რეისით თბილისში ხვალ ჩამოვა და 19 საათზე ეროვნულ სტადიონზე ივარჯიშებს. ამავე დროს ივარჯიშებს „დინამოც", ოღონდ დიღმის ბაზაზე. ბელარუსთა მწვრთნელი იური პუნტუსი კი პრესკონფერენციას ვარჯიშამდე ნახევარი საათით ადრე გამართავს.

ბილეთის ფასი 3 ლარია, ლოჟის ადგილისა ხუთი. „დინამოს" ხელმძღვანელობა თბილისის პოლიციას საგანგებო თხოვნით მიმართავს, რათა შარშანწინდელი „დინამო"-„ლიბერეცის" მატჩში მომხდარი ექსცესები, ტრიბუნებიდან ნაირგვარი საგნების სროლა აღარ განმეორდეს, რაც უეფასგან სტადიონის დისკვალიფიკაციით ისჯება — შარშანდელი „დინამო"-„ტირანა" ხომ ცარიელი ტრიბუნების წინ გაიმართა.

„დინამომ" ერთი სიახლეც მოამზადა საამმატჩოდ — ძველი საპრესკონფერენციო დარბაზი გარემონტდა და ჟურნალისტებისთვის სარგოდ აღიჭურვა.

ბოლო დროს პრესკონფერენციები გასახდელებთან არსებულ დაშმორილ ოთახში ტარდებოდა, აწი კი „დინამოს" საშინაო მატჩებზე უსიამოვნო სუნი სტუმარ-მასპინძელ მწვრთნელებსა და ჟურნალისტებს აღარ შეაწუხებთ.

# საიდუმლო მასალები

## ჩელებაძე მეგობარს მალავს



**გუშინ „ბათუმმა"** სეზონისწინა პრესკონფერენცია გამართა. ბათუმელებს რომ სპონსორი და ფული გამოუჩნდათ, ადრეც გაუწყეთ. თუმც „ბათუმის" დამფინანსებლის ვინაობა გუშინაც არ დაასახელეს. წინა სეზონის შემდეგ გუნდში რამდენიმე ახალი ფეხბურთელი მივიდა წავიდა და „ბათუმის" განაცხადი მეთექვსმეტე ეროვნული ჩემპიონატისთვის გუშინ საბოლოოდ დადგინდა:

*მეკარეები: აკაკი დევაძე, ირაკლი ბალაძე; მცველები: ნიკა გუშარაშვილი, თენგიზ ჩიკვილაძე, ბეგლარ თედორაძე, ზურაბ ექონია, ივანე მახარაძე, ზურაბ დუმბაძე, გიგა ჯანელიძე; ნახევარმცველები: ირაკლი შენგელია, შალვა ხუჯაძე, ვიტალი დარჩიძე, ნუკრი მანჩხავა, კახა ქაცარავა, ბესარიონ თედორაძე, ავთანდილ ღლონტი, ირაკლი ცანავა, თემურ მალანია, ირაკლი მაკარაძე, გიორგი რამიშვილი; თავდამსხმელები: ლევან ხომერიკი, დიმიტრი ფირცხალაიშვილი, გიორგი ნოდარის ძე ჭელიძე, ნიკა ფურცხვანიძე.*

პრესკონფერენციაზე კი მეტწილად „ბათუმის" პრეზიდენტმა რევაზ ჩელებაძემ ილაპარაკა...

— ვცდილობთ, რომ კლუბში ყველაფერი ევროსტანდარტებს მივუახლოვოთ. რამდენიმე ახალი ფეხბურთელი დავაიმატეთ და გუნდის გაძლიერება უწყვეტი პროცესი იქნება.

— „ბათუმი" ჩემპიონობისთვის იბრძოლებს და, თუ ჩემპიონობას ვერ შევძლებთ, რომელიმე ევროსაგზურს მაინც მოვიპოვებთ.

— ბათუმის სტადიონს აუცილებლად გავუკეთებთ რეკონსტრუქციას — განახლებული სტადიონი 25 ათას მაყურებელს დაიტევს.

— რაც შეეხება ინვესტორის ვინაობას, ეს ჯერ საიდუმლოა. გეტყვით მხოლოდ იმას, რომ ინვესტორი უცხოელია და ის ჩემი მეგობარია.

**გიორგი მურვანიძე**
**ბათუმიდან**

# კონტროლი და მზადება ამერიკიდან ევროპამდე

## გახოკიძე ჯერაც უკონტრაქტოა

**ორი კვირაც** და ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში ეროვნული ჩემპიონატები გაჩაღდება, მანამდე კი ევროგუნდები თავიანთი ქართველი ლეგიონერებით ან ამხანაგურად თამაშობენ, ან ჯერაც ფიზმომზადებაზე აქვთ აქცენტი.

კახა კალაძის „მილანი" იტალიაშია, მაგრამ მალე ამერიკის შეერთებულ შტატებში გააგრძელებს მზადებას, სადაც სხვა ევროპული გრანდები უკვე ჩასულან და მილანელებს იქ კარგი სპარინგები არ მოაკლდებათ. „მილანი" შინ აგვისტოს დამდეგს დაბრუნდება, ხოლო იტალიის ჩემპიონატი 12 აგვისტოს დაიწყება.

შოთა არველაძისა და ზურაბ ხიზანიშვილის „რეინჯერსმა" ავსტრიაში „რომას" მოუგო, ლონდონში „ფულემს", ხვალ კი შინ „ტოტენჰემს" უმასპინძლებს. ჯერაც ვერაა ბოლომდე გამოჯანმრთელებული არველაძე. „რეინჯერსს" ორჯერადი ვარჯიშები აქვს, მაგრამ გუნდის მენეჯერმა ალექს მაკლიშმა შოთას შეღავათი გაუწია და დღეში ერთი ვარჯიში აკმარა.

გასულ უქმეებზე ორი საკონტროლო მატჩი გამართა იაშვილ-ცქიტიშვილის „ფრაიბურგმა", თუმც საძლიან მეტოქეებს ფოლკერ ფინკეს გუნდი აწი შეხვდება — „სოშოს", „ლაუტერნს" და „ბაიერნს", ბუნდესლიგა კი 7 აგვისტოს დაიწყება.

ორი კვირაა, რაც სეზონი დაეწყო ლევან კობიაშვილის „შალკეს" — გელზენკირხენელმა „ხუმარებმა" ინტერტოტოს თასის მესამე ეტაპი წარმატებით გაიარეს — მაკედონიურ „ვარდარს" შინ 5:0 მოუგეს, ხოლო გასულ უქმეებზე სტუმრად 2:1 დაამარცხეს — კობიაშვილს გოლი არ გაუტანია, თუმც ორივე შეხვედრა სრულად ითამაშა.

მეორე ბუნდესლიგის გუნდებს ახლა გაუჩაღდებათ საკონტროლოები — დავით სირაძის „ტრირი" მაღალმთიანი კურორტიდან შინ დაბრუნდა და საინტერესო იქნება, თუ როგორ წარმოაჩენს თავს ჩვენებური „ტრირის" ათნომრიანი მაისურით — სირაძე ეროვნული ნაკრების წევრად მოიაზრება ალენ ჟირესისთვის.

რუსეთის პრემიერლიგის მე-18 ტურში ქართველებმა თავი ვერაფრით გამოიჩინეს. თუმც ოთარ ხიზანეიშვილი რომ მოსკოვის „დინამოს" ძირითადში მკვიდრდება, სასიამოვნო ფაქტია — ხიზანეიშვილი ეროვნული ნაკრების დაცვისთვის ძალიან საჭირო კაცია. ასათიან-აშვეთიას „ლოკომოტივმა" „დინამოს" ორი გოლი კი გაუტანა, მაგრამ ხიზანეიშვილს არც ერთში არ მიუძღვის ბრალი.



„ფრაიბურგის" საკონტროლოებში ლევან ცქიტიშვილი გამოირჩა

უკრაინიდან სატრანსფერო ამბავს ველით — გოგა გახოკიძე თითქმის ერთი კვირაა, რაც დემეტრაძე-ჯამარაულის „მეტალურგში" ვარჯიშობს, მაგრამ კონტრაქტი ჯერაც ხელმოუწერელია — კლუბის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა გვითხრა, რომ გახოკიძის საკითხი დღე-დღეზე გადაწყდება.

**დავით თავართქილაძე**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | ს | პაშინგი 0:3 | 90 | | 2 | 2 | 6 |
| | | | **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | შ | დინამო 2:1 | 3 | შეცვლაზე ითამაშა | 12 | 0 | 3 |
| მიხეილ აშვეთია | ლოკომოტივი | შ | დინამო 2:1 | 25 | შეცვლაზე ითამაშა | 12 | 0 | 3 |
| ვიტალი დარასელია | ალანია | შ | სპარტაკი 0:2 | 0 | სათადარიგო იყო | | | |
| | | შ | ზენიტი 0:3 | 30 | შეცვლაზე ითამაშა | 5 | 1 | 10 |
| ლევან გვაზავა | ალანია | შ | სპარტაკი 0:2 | 90 | | | | |
| | | შ | ზენიტი 0:3 | 60 | შეცვალეს | 9 | 1 | 10 |
| მიხეილ ყაველაშვილი | ალანია | შ | სპარტაკი 0:2 | 45 | შეცვალეს | | | |
| | | შ | ზენიტი 0:3 | 33 | შეცვლაზე ითამაშა | 3 | 0 | 10 |
| რატი ალექსიძე | როსტოვი | შ | კრილია 0:1 | 0 | | 5 | 0 | 11 |
| მამუკა ლომიძე | როსტოვი | შ | კრილია 0:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 11 |
| გიორგი ლომაია | სპარტაკი | ს | ალანია 2:0 | 0 | სათადარიგო იყო | | | |
| | | | ტური გამოტოვა | | | 2 | 0 | 13 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | დინამო | ს | ლოკომოტივი 1:2 | 90 | | 4 | 0 | 12 |
| დავით ნაკანი | ტორპედო | ს | სატურნი 1:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 2 |
| | | | **რუსეთი. პირველი დივიზიონი** | | | | | |
| კახა ცხადაძე | ანჟი | შ | ლუჩ-ენერგია 3:2 | 0 | ტრავმირებულია | 6 | 0 | 9 |
| კახა მჟავანაძე | ანჟი | შ | ლუჩ-ენერგია 3:2 | 90 | | 19 | 0 | 9 |
| ედიკ საჯაია | არსენალი | შ | ტომი 0:1 | 0 | | 17 | 0 | 14 |
| გიზო ჯელაძე | სოკოლი | | ტური გამოტოვა | | | 14 | 0 | 2 |
| ზურაბ ფოფხაძე | მ. კუზბასი | ს | ორიოლი 1:3 | 0 | ტრანსფერზეა | 10 | 0 | 14 |
| ლევან ბერიშვილი | მ. კუზბასი | ს | ორიოლი 1:3 | 0 | | 4 | 0 | 14 |
| პაატა ჯინჭარაძე | ნეფტეხიმიკი | ს | ლისმა-მორდოვია 1:4 | 90 | | 15 | 1 | 19 |
| რევაზ გოცირიძე | კამაზი | ს | გაზ-გაზპრომი 5:3 | 30 | შეცვლაზე ითამაშა | 3 | 0 | 3 |
| რომან ახალკაცი | ბალტიკა | შ | დინამო 2:1 | 72 | შეცვალეს | 1 | 0 | 21 |
| ზაზა ჯანაშია | ბალტიკა | შ | დინამო 2:1 | 0 | | 0 | 0 | 21 |
| თემურ გადელია | ბალტიკა | შ | დინამო 2:1 | 90 | შეცვალეს | 3 | 1 | 21 |
| | | | **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | |
| გოჩა ჯამარაული | მ. დონეცკი | შ | კრივბასი 1:1 | 90 | | 3 | 0 | 2 |
| გიორგი დემეტრაძე | მ. დონეცკი | შ | კრივბასი 1:1 | 90 | | 3 | 1 | 2 |
| ალექსანდრე ამისულაშვილი | დინამო | შ | ვოლინი 3:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 4 |
| ზურაბ იონანიძე | ტავრია | ს | ილიჩევეცი 2:2 | 45 | 1 გოლი, შეცვლაზე ითამაშა | 2 | 1 | 11 |
| გია ჭანტურია | ტავრია | ს | ილიჩევეცი 2:2 | 0 | სათადარიგო იყო | 1 | 0 | 11 |
| გიორგი იმედაძე | ტავრია | ს | ილიჩევეცი 2:2 | 0 | | 0 | 0 | 11 |
| კახა ჩხეტიანი | ტავრია | ს | ილიჩევეცი 2:2 | 45 | შეცვალეს | 2 | 0 | 11 |
| ზვიად ჩხეტიანი | ტავრია | ს | ილიჩევეცი 2:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 11 |
| ვასილ გიგიაძე | ტავრია | ს | ილიჩევეცი 2:2 | 77 | | 2 | 0 | 11 |
| ლაშა ჯაკობია | მეტალისტი | ს | ვორსკლა 1:0 | 64 | შეცვალეს | 2 | 0 | 8 |
| | | | **ფინეთი. ვეიკაუსლიგა** | | | | | |
| გიორგი ნიკურაძე | კტპ | ს | ჰიკ 2:3 | 90 | | 11 | 0 | 8 |
| | | | **ლატვია. უმაღლესი ლიგა** | | | | | |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | | ტური გამოტოვა | | | 7 | 3 | 3 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | | ტური გამოტოვა | | | 13 | 3 | 3 |
| გიორგი ყიფიანი | სკონტო | | ტური გამოტოვა | | | 6 | 0 | 3 |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | ვენტსპილსი | ს | დინაბურგი 2:0 | 0 | | 1 | 0 | 2 |
| თამაზ პერტია | დინაბურგი | შ | ვენტსპილსი 0:2 | 90 | | 14 | 0 | 4 |
| | | | **ყაზახეთი. პრემიერლიგა** | | | | | |
| ლევან ბაჯელიძე | ატირაუ | ს | კაისარი 0:0 | 0 | ტრავმირებულია | ? | ? | 4 |
| კახა კვეტენაძე | ორდაბასი | შ | ტობოლი 1:1 | 65 | შეცვალეს | ? | ? | 9 |
| ზურაბ არჩვაძე | ეკიბასტუზეცი | ს | ჟენისი 2:2 | 0 | სათადარიგო იყო | ? | ? | 6 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

# კოპა ამერიკა 2004
## პერუ (6-25 ივლისი)

### ფინალი

**არგენტინა 2:2(პენ.2:4) ბრაზილია**

1:0 კილი გონსალესი (20პ), 1:1 ლუიზაო (45), 2:1 დელგადო (87), 2:2 ადრიანო (90)

*პენალტებში: 0:0 დალესანდრო (მეკარე), 0:1 ადრიანო, 0:1 ჰაინცე (აცილა), 0:2 ედუ, 1:2 კილი გონსალესი, 1:3 დიეგო, 2:3 სორინი, 2:4 ჟუანი*

არგენტინა: აბონდანსიერი, კოლოჩინი, რ. აიალა, ჰაინცე, ხ. ძანეტი, მასკერანო, სორინი, ლ. გონსალესი (დალესანდრო 75), მ. როსალესი (ს. დელგადო 64), კილი გონსალესი, ტევესი (კიროგა 90)

მწვრთნელი: მარსელო ბიელსა

ბრაზილია: ჟულიო სეზარი, მაისონი, ლუიზაო (კრისი 82), ჟუანი, გუსტავო ნერი, რენატო, კლებერსონი (დიეგო 54), ალექსი (ფელიპე 63), ედუ, ადრიანო, ლუის ფაბიანო

მწვრთნელი: კარლოს ალბერტო პარეირა

მსაჯი: კარლოს ამარილია (პარაგვაი)

45 000 მაყურებელი





ჟულიო სეზარმა ანდრეს დალესანდრო აატირა

# ადრიანომ არ დაავგვიანა
## ახალი თაობა ირჩევს კოპას

ჯგუფში ჩილესთან 1:0 მოგების შემდეგ კარლოს ალბერტო პარეირამ მეტოქის გასაგონად თქვა, ფეხბურთი 90 წუთს გრძელდებაო, რადგან ლუის ფაბიანომ გოლი ბოლო წუთზე გაიტანა.

მეოთხედფინალში პენალტებით ურუგვაის დამარცხების შემდეგ კი კარლოს ალბერტო პარეირამ განაცხადა, რომ ბრაზილია პენალტების შემსრულებლების ნაკლებობას არასოდეს განიცდიდა.

და აი, ფინალში ბრაზილიამ არგენტინასთან ბოლო წუთზე გაათანაბრა და თერთმეტმეტრიანებიც უნაკლოდ შეასრულა.

პენტაკამპეონებმა ტურნირზე ცხრა მატჩისშემდგომი პენალტი დაარტყეს და ცხრავე შეაგდეს, ხოლო მეკარე ჟულიო სეზარმა ნახევარფინალშიც და ფინალშიც თითო პენალტი მოიგერია. ბრაზილიელებმა ყველა მატჩში გაიტანეს გოლი და „კოპა ამერიკა" მეშვიდედ მოიგეს.

კარლოს ალბერტო პარეირამ ეს გუნდი ტურნირის დაწყებამდე ათი დღით ადრე შეკრიბა. მანამდე მათ ერთად არასოდეს უთამაშიათ, ნაკრები, ფაქტობრივად, ჩემპიონატის მსვლელობისას შეიქმნა. ტურნირის დაწყებამდე ბრაზილიელთა მწვრთნელმა განაცხადა, უდავო ფავორიტად არგენტინა მიმაჩნიაო და მარსელო ბიელსას ფინალში გადაეყარა.

ბრაზილია — არგენტინის მატჩს მშვიდად დასრულება არ ეწერა. ადრიანოს გამთანაბრებელი გოლის შემდეგ მავან არგენტინელს მეტოქე ფეხბურთელებისთვის წყალი მიუსხამს და ამის გამო მოედნის ცენტრში მოთამაშეებმა ერთმანეთისკენ ისე გაიწიეს, რომ პერუელი პოლიციელების ჩარევა გახდა საჭირო.

ანგარიში კი კილი გონსალესმა პენალტით გახსნა, ხოლო ტაიმის მიწურულს ლუიზაომ გაქვითა. შესვენების შემდეგ, ერთ ეპიზოდში, ლუიზაო და აიალა თავებით შეასკდნენ ერთმანეთს. ბრაზილიელი მოასულიერეს, მაგრამ მოგვიანებით ცუდად გახდა და საავადმყოფოში გააქანეს. იგი მოზეიმე თანაგუნდელებს ვერ შეუერთდა, რადგან ამ დროს პალატაში თავს ექიმები დასტრიალებდნენ. ექიმ ლუის როსანის თქმით, ლუიზაო თავს გუშინვე კარგად გრძნობდა და, ვინძლო საჩემპიონო ბანკეტზე შეერთებოდა თანაგუნდელებს.

თუმცა მოლხენამდე ჯერ შორი იყო — სესარ დელგადომ 87-ე წუთზე არგენტინელები დააწინაურა. ეს იყო მისი პირველი გოლი „კოპაზე" და არგენტინას რომ ემარჯვა, დელგადოს გმირად შერაცხავდნენ, ბიელსა კი ქომაგთა მორიგ რისხვას გადაურჩებოდა, მაგრამ მოედანზე შვიდნომრიანი მაისურით ადრიანო დაჰქროდა, რომელსაც გოლების რაოდენობის ნომერთან გათანაბრება სურდა, გაათანაბრა კიდეც.

**მაჟა ხუციშვილი**

### კოპა ამერიკას ფინალები 1993 წლიდან

| | |
|---|---|
| 1993 | არგენტინა 2:1 მექსიკა |
| 1995 | ურუგვაი 1:1(პენ.4:3) ბრაზილია |
| 1997 | ბრაზილია 3:1 ბოლივია |
| 1999 | ბრაზილია 3:0 ურუგვაი |
| 2001 | კოლუმბია 1:0 მექსიკა |
| 2004 | ბრაზილია 2:2(პენ.4:2) არგენტინა |

სამხრეთ ამერიკის ჩემპიონები იყვნენ:

*ურუგვაი (14), არგენტინა (14), ბრაზილია (7), პარაგვაი (2), პერუ (2), ბოლივია (1), კოლუმბია (1)*

| ბომბარდირები | |
|---|---|
| ადრიანო (ბრაზილია) | 7 |
| სავიოლა (არგენტინა) | 3 |
| ბუენო (ურუგვაი) | 3 |
| კილი გონსალესი (არგენტინა) | 3 |

### ნათამაშების ჩრდილში

## კარლოს ალბერტო პარეირა

ქართული ბიბლიოთეკა



ბრაზილიური ფეხბურთის სიდიადე კიდევ ერთხელ ვაჩვენეთ. მსოფლიოში ვერც ერთი ქვეყანა ვერ შეგვედრება. ბრაზილიისთვის შედეგი ყოველთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ რომ დავმარცხებულიყავით, ნიჭიერი ახალი თაობით მაინც კმაყოფილი დავრჩებოდი. ჩვენ გვყავს ფეხბურთელები, რომლებიც ალბათ მსოფლიოს მომავალ ჩემპიონატზე ითამაშებენ. ამ გუნდიდან ალბათ ძირითად შემადგენობაში ადგილს უმეტესობა ვერ დაიმკვიდრებს, მაგრამ ბევრს მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში მონაწილეობის კარგი შანსი აქვს. მათ ძირითადად საკლუბო ფეხბურთიდან იცნობენ და სანაკრებო დონეზე ასეთ წარმატებას პირველად მიაღწიეს. ამ ბიჭებით ბრწყინვალე მომავალი გველის. „კოპა ამერიკა" მუნდიალზე და ევროპის ჩემპიონატზე არანაკლებ მნიშვნელოვანი ტურნირია. ჩვენ არასოდეს ვნებდებით, რაც არგენტინამ საკუთარ თავზე გამოსცადა. ეს დაუვიწყარი მატჩია. არგენტინას მოგებული თასი გამოვგლიჯეთ. მათ 2:1-ზე ბურთის თრევა და დროის გაყვანა დაიწყეს, რამაც ძალიან გაგვალიზიანა.

## მარსელო ბიელსა



მატჩის მიზანი ორ ნაკრებს შორის საუკეთესოს გარკვევა იყო, მაგრამ შედეგი აშკარად ეწინააღმდეგება თამაშის სურათს. ხდება ხოლმე, რომ ერთი გუნდი მთელი ტაიმის განმავლობაში მეტოქის საჯარიმოს უტრიალებს, გოლი კი მეორეს იშვიათი კონტრშეტევით გააქვს. სწორედ ეს მოხდა ამჯერად. რა უნდა გაგვეკეთებინა შეხვედრის მოსაგებად? ამის შესახებ ნამატჩევს ბიჭებს ვესაუბრე. 2:1-ის შენარჩუნება გვსურდა, მაგრამ ვერ მოვახერხეთ და ბოლოწამს გოლი გავუშვით, გამარჯვება ნაადრევად ვირწმუნეთ. მეკითხებიან, კარლოს ტევესი რატომ შეცვალეო. გიპასუხებთ: დროის მოგების მიზნით. თან მცველი შევიყვანე და დაცვა გავაძლიერე. ასე რომ არ მოვქცეულიყავი, ჩვენს კარში გატანილ გოლს მაინც მე დამაბრალებდნენ.

# ღმერთი, ოჯახი, მეგობრები



რონალდოს ადგილი თუ გსურს, რონალდოზე ძლიერი უნდა იყო. ადრიანომ ექვს შეხვედრაში შვიდი გოლი გაიტანა, ზედ ორი მატჩისშემდგომი პენალტიც მივათვალოთ და სულ ცხრა გამოვა, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს ძირითადი შემადგენლობიდან რონალდოს ამოგდებას.

„კოპა ამერიკას" ბომბარდირმა ბურთი თავისი ნაქები ცაციით აკენწლა და აბონდანსიერის მარცხენა კუთხეში უძლიერესი დარტყმით გაუტანა. „ძალიან ბედნიერი ვარ. მადლობა ღმერთს, ჩემს ოჯახს და ჩემს თანაგუნდელებს. ამ სიხარულს სიტყვით ვერ აღვწერ" — თქვა ბრაზილიელთა მთავარმეგოლეემ.

„ფლამენგოს" ყოფილი, ამჟამად კი მილანის „ინტერის" ფორვარდი ნაკრებში პირველად რომ მიიწვიეს, 18 წლის იყო, 2000 წლის ნოემბერში კოლუმბიასთან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრაში ითამაშა.

ბევრს მაშინ ძალიან გაუკვირდა უცნობი ყმაწვილკაცის გამოჩენა ბრაზილიელთა გუნდში და მორიგი სანაკრებო მატჩისთვის... ორი წლის შემდეგ პორტუგალიასთან ამხანაგურად გასაჯიბრებლად გამოიძახეს.

შარშან კარლოს ალბერტო პარეირამ კონფედერაციის თასზე წაიყვანა. ბრაზილია ჯგუფიდან ვერ გავიდა, ადრიანომ კი მხოლოდ ორი გოლის გატანა მოახერხა.

ლონიერი ცაცის პატრონს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის უხმობდნენ, მაგრამ რონალდოს ჩრდილიდან ვერ გამოდიოდა.

რონალდო და რონალდინიო პარეირამ „კოპა ამერიკასთვის" ვერ გაიმეტა და ადრიანომ თავისი შანსი გამოიყენა.

ჯგუფში კოსტა რიკასთან ჰეთ თრიქი შეასრულა, მეოთხედფინალში მექსიკას წყვილი გოლი გაუტანა, ნახევარფინალში ურუგვაისთან 0:1-ზე გაათანაბრა, ფინალში კი არგენტინა აატირა.

მადრიდის „რეალის" თავდამსხმელი ხავიერ პორტილიო 2004-05 წლების სეზონში იტალიურ „ლაციოში" იჯარით ითამაშებს. გუშინ რომში კლუბთა სატრანსფერო საქმეთა გამრიგენი და ფეხბურთელის აგენტი ერმინიო მენანდესი ერთმანეთს შეხვდნენ და კონტრაქტის დეტალებზე ითათბირეს.

## პორტილიო ლაციოში მორიენტესმა გაუშვა



ხავიერ პორტილიო

გასულ შაბათს „რეალის" მწვრთნელ ხოსე ანტონიო კამაჩოს პორტილიოსთან უსაუბრია და უთქვამს, „რეალში" ფერნანდო მორიენტესის დატოვების მერე ძირითადში შენი ადგილი აღარ მოიძებნებაო. პორტი-გოლს სხვა რაღა დარჩენოდა, სათადარიგოთა სკამის ხეხვას მადრიდიდან წასვლა ამჯობინა.

სატრანსფერო ბაზარზე ნიჭიერი ფორვარდით რამდენიმე უცხოური კლუბი იყო დაინტერესებული. მათ შორის ზემოთ ხსენებული იტალიური „ლაციო", „ფიორენტინა" და ბერძნული „ოლიმპიაკოსი". პორტილიო მოწყალე თვალით „ოლიმპიაკოსისკენ" იცქირებოდა, მაგრამ საბოლოოდ მაინც სერია A-მ მოხიბლა და „ლაციოში" თამაში არჩია. თანაც, „ლაციო" მომავალ სეზონში უეფას თასზე ითამაშებს, ეს კი ხელსაყრელი შემთხვევა იქნება ევროპაში თავის გამოსაჩენად. ვინ იცის, იქნებ პორტილიოც ფერნანდო მორიენტესის დარად ერთი წლის მერე მადრიდში დიდი ზარ-ზეიმით დაბრუნონ...

**ლადო ხომერიკი**

# დღე პირველი

## პორტუგალიის რჩეული




## 3 თამაში

„მე აქ იმიტომ ჩამოვედი, რომ პორტუგალიას სახელი მოვუტანო. როგორც ვატყობ, ხალხი არცთუ იმედიანად უყურებს ნაკრების მომავალს. მინდა გითხრათ, რომ პორტუგალია ფინალში ითამაშებს. მანამდე ფეხსაც არ დავძრავ აქედან. მე ვამბობ, რომ ფინალში ვითამაშებთ. მე სიტყვის კაცი ვარ და ჩემი სიტყვისთვის არასდროს გადამიხვევია. ამხანაგურ თამაშებში ცუდი შედეგები გვქონდა, მაგრამ ეს ყველაფერი შეიცვლება. ზუსტად ვიცი" — ლუიშ ფელიპე სკოლარიმ ჩემპიონატამდე კარგა ხნით ადრე თქვა ეს სიტყვები. მან იცოდა, როგორ აეყოლიებინა პორტუგალია. ადრეც მოგახსენებდით, მან, ბრაზილიელმა მწვრთნელმა იცის გულშემატკივართან მუშაობა და პროპაგანდის ხერხებსაც მშვენივრად ფლობს.

გახსოვთ მოედანზე გამოვარდნილი სკოლარი პორტუგალიისა და ბრაზილიის დროშები რომ ჩაებღუჯა და გულში იკრავდა?

„მთელი ბრაზილია უყურებს და ელოდება ჩვენს გამარჯვებას" — თქვა მან მაშინ და ეს არ იყო მხოლოდ უბრალო ნათქვამი. სკოლარიმ ბრაზილიური ფეხბურთის ავტორიტეტი მოიხმო ხალხისა და გუნდის კიდევ უფრო შესაფუცხუნებლად, ვინაიდან ბრაზილია და პორტუგალია ეს არ არის უბრალოდ ერთ ენაზე მოლაპარაკე ორი ქვეყანა. ძველი ნათქვამია: ბრაზილია დიდი პორტუგალიაა, პორტუგალია კი პატარა ბრაზილია. ბრაზილიელი უცხოელი არ არის პორტუგალიაში, ის ბრაზილიელია. კი, ეგებ ბევრმა პორტუგალიელმა გითხრათ, რომ ბრაზილიელები ცეკვა-თამაშისა და უკიდეგანო ხალისის ზანტი ხალხია, მაგრამ მე მინახავს ბრაზილიელები, რომლებიც მუხლჩაუხრელად მუშაობდნენ და პორტუგალიის ბრაზილიური თემი ამ ჯადოსნური ქვეყნის ერთ-ერთი გემოა, ისევე როგორც გუარანას გამაგრილებელი სასმელი პირდაპირ ამაზონიდან და ლერწმის არაყი კაშასა, ძალიან რომ ჰგავს ჭაჭას.

ბრაზილიელი თითქმის პორტუგალიელია. დეკუ ბრაზილიელი, მაგრამ ის უკვე პორტუგალიელია, რაც სწორედ სკოლარიმ მოინდომა. ვერ ჩამოვთვლით იმ ასიათას რამეს, რაც აერთიანებს ამ ორ ქვეყანას და ვერც იმას ჩამოვთვლით, რაც ასევე ანსხვავებს.

სკოლარის დანიშვნა ნაკრების მწვრთნელად ნაბიჯი იყო. ბრაზილიამ კი სულ სხვანაირად შეაბიჯა პორტუგალიურ ფეხბურთში. აქამდე ყველაზე დიდი, ლეგენდას მიახლოებული ბრაზილიელი პორტუგალიურ ფეხბურთში განთქმული მწვრთნელი, ოტო გლორია იყო. ოტო გლორია და ალბათ კიდევ იუსტრიში, ან იუსტტრიხი, ისიც მწვრთნელი ბრაზილიელი გერმანული გვარტომობისა.

ჰოდა, სკოლარიმაც მიიღო ეს როლი. მიიღო და პატიოსნად შეასრულა. თუმცა, მან მაინც ვერ აჯობა პორტუგალიას და ამ ხალხის უაღრესად საინტერესო, თავისებურ, ალალ და განუმეორებელ მენტალიტეტს. ვერ აჯობა თუნდაც ფინალში. თუნდაც კი არა, სწორედ ფინალში. მან ყველა და ყველაფერი აიყოლია, მთელი ქვეყანა აიყოლია და მოიკიდა ზურგზე, მაგრამ ბოლოს მაინც პორტუგალიურმა სევდამ გაიმარჯვა და არა ევროპაში არცთუ ნაცნობმა ფენომენმა, ბრაზილიელი მწვრთნელი რომ ჰქვია.

სკოლარი ასეთი კაცია: ის არ წავიდა სამუშაოდ „ბარსელონაში", თუმცა, ეჭვი არ არის, ის მშვენიერ გუნდს გააკეთებდა. ეს სწორედ მაშინ იყო, როცა კატალონიელებმა ლუის ვან გაალი დაითხოვეს. სკოლარი არ წავიდა. პორტუგალიის ნაკრები კარგი იყო მისთვის. ფინალის წაგების შემდეგ მან თქვა, რომ აასრულა ის, რასაც დაპირდა პორტუგალიელ ხალხს, ფინალში მიიყვანა გუნდი. ამ ძიაკაცს ხომ არასოდეს ავიწყდება რამე და განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ნათქვამ სიტყვებს. ამიტომ, როცა ენამწარეობს, მან იცის შედეგი, ისევე, როგორც თამაშის დროს იცის წინდაწინვე ყველაფერი.

ის ძალიან ჭკვიანი და მოხერხებული კაცია, ფეხბურთი კი, მოგეხსენებათ, ძალიან ღრმად იცის.

სკოლარის უყვარს ფეხბურთელების ძალიან კოხტად, გამოკვეთილად განლაგება მინდორზე. მისი ნახაზი ძალიან სადა და მკვეთრია ხოლმე. თუმცა, ამ ნახაზში მან იცის პირადი დავალებების შეტანა, ადგილების ცვლა და ასეთი რამეები. მან ფუნქციების კოხტად გადანაწილებაც იცის. ვიღაცა ბევრს დარბის უბურთოდ, ვიღაცა ცოტა ნაკლებს, მაგრამ ეს ყველაფერი კოხტადაა აწყობილი. სადაც მისულა სკოლარი ყველგან ასე მოუხერხებია. თორმეტი წლის წინ მან ბრაზილიის დაბალლიგელ „კრისიუმას" ქვეყნის თასი მოაპოვებინა სულ დიადებთან ჭიდილში და ეს ყველაფერი თამაშის კოხტა ორგანიზაციით მოახერხა. ანუ, რასაც სკოლარის გუნდი აკეთებს, ის ორგანიზებულია და მოშვების უფლებას თავად მწვრთნელი ძნელად მოგცემს, ის მოედნის კიდეზე დგას და ყვირის.

ფაქტობრივად, სკოლარი თვითონ წარმართავს თამაშს, გახსნილ მოთამაშეზეც კი მიანიშნებს ხოლმე ბურთიან კაცს.

ამასთან, სკოლარიმ ტაქტიკური სურპრიზებიც იცის. ეგებ არცთუ თვალში საცემი, მაგრამ ჭკვიანური. შეიძლება მის გუნდებში ყველაფერი იმგვარად არ იყოს დამუშავებული, რომ ეს მკვეთრად ჩანდეს და გოლი მრავალსვლიანი, წინასწარგანზრახული კომბინაციით კეთდებოდეს, მაგრამ, მას ყოველთვის აქვს ორი-სამი ისეთი კომბინაცია, რომელიც ამართლებს. თანაც, აშკარაა, რომ ეს კომბინაციები საგანგებოდ ამ მეტოქესთან თამაშისთვისაა მოგონილი. ყველას უკვირდა, თუ რა კარგად თამაშობდა პორტუგალია თავით კუთხურების დროს. თანაც მაშინ, როცა საუკეთესო მეთავურე, ფერნანდო კოუტუ სკამზე ეჯდა. სკოლარიმ მოინდომა და გააკეთა. სკოლარიმ თავიდანვე იცოდა, რომ ილბალი ფლანგებიდან უნდა ეძებნა და ეს მოახერხა. კრისტიანო რონალდოს არნახული დატვირთვა ჰქონდა და ერთიათადაც გაიზარდა როგორც ფეხბურთელი. ანდა, გინახავთ ასეთი პორტუგალიური დაცვა? სკოლარიმ ყოველთვის იცოდა დაცვის დაყენება. ახლაც არ შემლია.

მაგრამ ყველაზე საოცარი სკოლარიში მისი წინათგრძნობაა. ეს სრული საოცრებაა და მხოლოდ ღვთისგან ბოძებული უნარი არ გახლავთ. ეს დიდი გამოცდილების შედეგად შეთვისებული რამეა. სკოლარიმ ყოყმანი არ იცის, მისთვის არ არსებობს სახელი. მაგალითად, სკოლარი არასოდეს იტყვის: ზიდანი მაინც უნდა იყოს მოედანზე, ვინაიდან ზიდანი ზიდანია. სკოლარის სულ იოლად შეუძლია ზიდანის შეცვლა. არ მოეწონება და მორჩა. არ მოწონება კი ხუშტური არ არის.

სკოლარიმ კაპიტანი ფერნანდო კოუტუ დასვა სკამზე და მხოლოდ მაშინ გამოჰყავდა მინდორზე, როცა თავით მოთამაშე მცველი სჭირდებოდა ხოლმე შეხვედრის ბოლო წუთებში. სკოლარიმ სკამზე დასვა პაულუ ფერეირა, საუკეთესო პორტუგალიელი მცველი ბოლო სეზონში, „პორტუს" ბევრი შეტევის სულისჩამდგმელი, ვინაიდან ფერეირამ ცუდად ითამაშა გახსნის მატჩში. თუმცა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის გახსნის თამაში ვერავინ ითამაშა. სამაგიეროდ,



ეროვნული ბიბლიოთეკა

# დღე უკანასკნელი



სკოლარიმ გამოიყვანა მიგელი და ჟორჟე ანდრადე. და ორივე ნამდვილ აღმოჩენად იქცა, განსაკუთრებით კი მიგელი, რომელიც მგონი, საერთოდაც ერთ-ერთი საუკეთესო მცველი იყო ჩემპიონატზე.

ინგლისთან მატჩის გადამწყვეტ და მძიმე წუთებში სკოლარიმ მოედნიდან გაიყვანა ფიგუ და მის ნაცვლად შეიყვანა ელდერ პოსტიგა.

ხშირად გაიგონებთ ხოლმე, შეცვლა ილბალიაო. პოსტიგა, რომელიც „ტოტენჰემში" თამაშობდა, ინგლისში გვარიან ამცილებლადაა ცნობილი და მთელს სეზონში ერთადერთი გოლი ჰქონდა გატანილი, ინგლისს კი გაუტანა.

ილბალზე უფრო, ეს ნახსენები შეთვისებული წინათგრძნობა იყო, ვინაიდან სკოლარი წარამარა აკეთებს ასეთ რამეებს და განსაკუთრებით იღბლიანი კაციც არ ჩანს. ვთქვათ, დიდიე დეშანს ვერც კი შევადარებთ. სკოლარისთვის ყველაფერი მძიმეა, მის გუნდებს იოლად არაფერი გამოსდით. ამიტომაც ვამბობ, რომ ეს წინათგრძნობაა. ასეთი მწვრთნელი დიდი საჩუქარია ქვეყნისთვის და გუნდისთვის, თუ, რა თქმა უნდა, მის ყოველ სიტყვას არ დაუდარაჯდები და მთავარი ის არ იქნება, რომ მან ცუდი ლაპარაკი იცის ხოლმე.

ძალიან საინტერესოა სკოლარის ცქერა, როცა ის თამაშს უცქერს ხოლმე.

ამ დროს აშკარაა: ფეხბურთი რომ მაყურებლის გარეშე ტარდებოდეს, სკოლარის გუნდი ყოველთვის და ყველა თამაშს მოიგებს. იმიტომ, რომ საყოველთაო გნიასში ფეხბურთელებს სკოლარისა არ ესმით, ხოლო როცა ესმით, მაშინ ყველაფერი მშვენივრად გამოსდით. რახან სკოლარი თამაშის მსვლელობაში აქტიურად ჩაბმული კაცია, მისთვის საიდუმლო არ არსებობს. რას არ მოიგონებენ ხოლმე მწვრთნელები: ზოგი ტრიბუნაზეც კი ჯდება ყურში სასმენით და ზემოდან ელაპარაკება თავის თანაშემწეს. სკოლარი კი ხაზთან დგას და ზღაპრულად ხედავს თამაშს. ხშირად ეს ხედვა გამაოგნებელია, იმიტომ რომ აშკარაა, ამ კაცმა წინდაწინ იცის, რა მოხდება.

წარმოიდგინეთ, რომ ბურთი მოწინააღმდეგის ნახევარზე, საპირისპირო ფლანგზე ტრიალებს. მეტოქის კომბინაცია იქიდან იწყება: ორი პასი, მესამე პასი. ხიფათი ჯერ ახლო არ არის, ოღონდაც ყველა ფეხბურთელს ყურადღება იქით აქვს და სკოლარისთან შორიახლოს მდგომი აქეთა ნახევარმცველიც ნელნელა იწევს ცენტრისკენ, ანუ იქით, საიდანაც ბურთი უფრო ახლო იქნება. ამის შემხედვარე მწვრთნელი გამწარებული ყვირის, ამ ნახევარმცველს კვლავ თავისი ფლანგისკენ იწვევს და უბრალო ჟესტით უბრძანებს, რომ თავის ადგილას დარჩეს და მეტიც, ცოტა წინ წაიწიოს. ეს ყველაფერი, ცხადია, წამებში ხდება, ბურთი უკვე სკოლარის გუნდის ნახევარზეა, საპირისპირო ფლანგზე და დაცვაც ნახევარწრეზე ტრიალებს და ლაგდება. სკოლარი თავის განაპირა მცველს კვლავ უბრძანებს, მაინცდამაინც სიღრმეში ნუ შეხვალო, ანუ აქეთა ფლანგის ორ კაცს ფაქტობრივად უქმად ტოვებს და უფრო შეტევისკენ აჭერინებს თვალს. თითქოს იოლია, სკოლარიმ იცის, რომ ათიდან რვა შემთხვევაში მეტოქის შეტევა უნაყოფო იქნება. ათიდან შვიდ შემთხვევაში მას დარტყმაც კი არ მოყვება და ბურთს მისიანები ჩაჭრიან. მისი ეს დარიგებები სწორედ ჩაჭრაზეა გათვლილი და არა იმაზე, რომ ბურთი კარს გადასცდება და მას მეკარე შეიყვანს თამაშში, თანაც ისე, რომ კარგახანს მოუწევს გახსნილი კაცის ძებნა. ეს დარიგებები რისკიანია, ნებისმიერ წამს შეიძლება, რომ ბურთი სწორედ ამ ფლანგზე გადმოვიდეს და მაშინ მცველს, რომელიც ისედაც მაღლაა დამხმარე აღარ ეყოლება, რადგან ნახევარმცველი კიდევ უფრო მაღლაა. მაგრამ ყველაფერი ისე ხდება, როგორც სკოლარის ეგონა. იქითა მცველები ბურთს ჭრიან და პირდაპირ ამ თავისუფალი განაპირა მცველისკენ გზავნიან, ის კი თავის ფლანგის ნახევარმცველისკენ ურტყამს. ეს დავიწყებული მოთამაშე კი ორ ნაბიჯშია ცენტრიდან. ტრიალდება და ბურთი ხალვათ, დაუცველ ტერიტორიაზე მიაქვს ძალიან სწრაფად. სკოლარი გამწარებული უყვირის იმ მცველს, რომელსაც საჯარიმოს სიღრმისკენ დაძვრა აუკრძალა და ისიც არანორმალური სისწრაფით მიდის წინ. სკოლარიმ ხომ იცის, რომ ეს მცველი ძალიან სწრაფია. ანუ, მას ყველაფერი დათვლილი აქვს. მან იცის, რა მოხდება. მცველი სრულიად გახსნილი იღებს ბურთს ნახევარმცველისგან, რომელიც თვითონ მეტოქის საჯარიმოსკენ გარბის და აღმოჩნდება, რომ სკოლარის გუნდი სამი სამზე უტევს. მცველი იოლად იცილებს მეტოქეს და დაბალ შორეულ კუთხეში ურტყამს. მეკარე, ყოჩაღ მეკარე. სკოლარის ბოლომდე არ გამოუვიდა ეს ამბავი, რადგან მეკარემ ივაჟკაცა. სამაგიეროდ, მისმა გუნდმა წამებში კუთხური მიიღო. მაგრამ მწვრთნელმა ხომ თავიდან ბოლომდე წინდაწინ იცოდა ეს ამბავი. გინდათ წინათგრძნობა დაარქვით, გინდა სხვა რამ, მაგრამ მას რომ არ ეყვირა, მას რომ არ გაეფრთხილებინა ორი თავისი მოთამაშე, ძალიან ძნელი წარმოსადგენია, რომ ამ ფეხბურთელებს ისე ემოქმედათ, როგორც იმოქმედეს. თუმცა, აშკარაა, რომ ეს ყველაფერი ნავარჯიშევი და გათვლილი იყო. მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ფეხბურთელები ხშირად სულ სხვაგვარად, თავის ჭკუაზე მოქმედებენ მინდორზე. სკოლარის კი ყოველთვის შემონახული აქვს სამი-ოთხი მახვილგონივრული ხერხი, რომელთაც თვითონ ექსპრომტად, ყვირილით აკეთებინებს მოედანზე თავის მოთამაშეებს.



ასეთი მწვრთნელია, მოდი და ილაპარაკე, წინათგრძნობა, ილბალი, ბედი, ცოდნა, გამოცდილება და ნიჭი. მართლაც საკვირველია, ზოგიერთი ასე გაზეთს ვერ კითხულობს, ანუ თავიდან არ იცის, რა იქნება აბზაცის ბოლოს. მან კი იცის.

*გაგრძელება იქნება*



## კინგი გინდათ?! სანტინი გულიანად აცინეს

„ტოტენჰემ ჰოთსფურის" ახალმა მწვრთნელმა, ჟაკ სანტინიმ გულიანად იცინა, როდესაც ჰკითხეს, ლედლი კინგი მართლა „არსენალს" ხომ არ მიჰყავსო. საქმე ის გახლავთ, რომ ჩრდილო ლონდონის ამ ორ გუნდს ძველი შუღლი აკავშირებს ერთმანეთთან.

სანტინიმ ჟურნალისტების კითხვას ხუმრობით უპასუხა, კინგს „მეთოფეებს" მხოლოდ იმ შემთხვევაში გავუცვლი თუ ისინი ტიერი ანრისა და სოლ კემპბელს დამითმობენ, ზედაც პატრიკ ვიეირას მოაყოლებენო.

„თუ არსენ ვენგერს ლედლი კინგი სურს, ანრი და კემპბელი უნდა მომცეს და კიდევ, სანამ „რეალს" უყიდია, ვიეირაც უნდა დამიმატოს" — თქვა ფრანგმა სპეციალისტმა, რომლის ხელშიც საფრანგეთის ნაკრებმა ევრო 2004-ზე სახეირო ვერაფერი მოიმოქმედა.

**ბაკუნა ბედია**

## ბორდომ კაპსისი დაადასტურა



„ბორდოს" მწვრთნელმა მიშელ პავონმა დაადასტურა, რომ მისი კლუბი ახლოსაა ათენის აეკ-ის მცველ მიხალის კაპსისის გადაბირებასთან.

მოგეხსენებათ, კაპსისმა ევრო 2004-ზე გამოიჩინა თავი და, ბუნებრივია, სატრანსფერო ფასიც დაიდო. თავიდან ამბობდნენ, რომ ევროპის ჩემპიონს ინგლისური „ბოლტონი" იყიდდა, მაგრამ როგორც ახლა ირკვევა, ბოლოს „ბორდო" გააქტიურდა და თან ისე ყოჩაღად, რომ, ფაქტობრივად, კონტრაქტზე ხელის მოწერაღა დარჩა.

„ჩვენ და მიხალის კაპსისი შევთანხმდით, ყველა დეტალი მოლაპარაკებული და მოგვარებულია. ახლა, ერთადერთი რაც დაგვრჩა, ტრანსფერის ოფიციალურად გამოცხადებაა" — ბრძანა პავონმა.

აღსანიშნავია, რომ კაპსისი პარასკევს საფრანგეთში გახლდათ და სამედიცინო შემოწმებაც გაიარა, მაგრამ ბოლოს რამდენიმე დღით დაფიქრებაც უთხოვია.

ამბობენ, რომ ბერძენი ფეხბურთელი და ფრანგული კლუბი სამი წლით დამეგობრდებიან. ფეხბურთელის გასამრჯელო წელიწადში 850 ათასი ევრო იქნება.

**ბაკუნა ბედია**

# ფერგი აგულებს და მოსწონს

„მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელს, ალექს ფერგიუსონს მოუწევს იმასთან შეგუება, რომ სეზონის დასაწყისში პორტუგალიელი კრისტიანო რონალდო და ახალშეძენილი არგენტინელი გაბრიელ ჰაინცე არ ეყოლება — ორივე ათენში ითამაშებს ოლიმპიადაზე.

დღეების და ტურების ანგარიში გვაჩვენებს, რომ რონალდო და ჰაინცე ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო მატჩების გარდა პრემიერლიგის ოთხ თამაშსაც გამოტოვებენ. მათი არყოფნა ფერგიუსონს ცხადია, გულს წყვეტს, მაგრამ თავად ამბობს, რომ სხვა გზა არ აქვს, უნდა შეეგუოს.

„ოლიმპიადის პატივსაცემად იძულებული ვარ სიტუაციას შევეგუო — თქვა „მანჩესტერ იუნაიტედის“ შოტლანდიელმა თავკაცმა — მე ორივე ფეხბურთელს ველაპარაკე და მივხვდი, რომ ბევრს ვერაფერს შევცვლიდი. ეს არ არის სამართლიანი არც ჩვენს და არც მათ მიმართ, მაგრამ სხვა გზა არ გვაქვს“.

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ ტურნე ამერიკის შეერთებულ შტატებში მიუნხენის „ბაიერნთან“ პენალტებში წაგებით დაიწყო, თუმცა ძალიან მოეწონა ახალშეძენილი ალან სმიტისა და ამერიკელი მცველის, ჯონათან სპექტორის თამაში.





ალან სმიტით და ჯონათან სპექტორით ალექს ფერგიუსონი კმაყოფილი დარჩა

„ჯონათანმა დიდი პოტენციალი გამოამჟღავნა — ბრძანა ფერგიუსონმა — მას დაცვაში თამაშის ნიუანსები ძალიან კარგად ესმის. როი კინის მხარდამხარ 90 წუთი ხომ სხვებთან 20 მატჩის ტოლია და როის სიბრძნე მას ძალიან გამოადგება.

რაც შეეხება ალანს, მას ძნელი საქმე ერგო, წინ დიდი სამუშაო დახვდა ჩასატარებელი, მაგრამ ამოცანას დიდებულად გაართვა თავი“.

შემდეგ ფერგიუსონმა განაცხადა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი“, საშინელი სეზონის შემდეგ ისევ გამარჯვების გზებზე უნდა დადგეს.



„ჩვენ მზად ვართ ჩემპიონთა თასი მოვიგოთ, გასულ სეზონში ინგლისის ჩემპიონობის დაკარგვამაც ძალიან გაგვანაწყენა, მით უფრო, რომ შუა სეზონში „არსენალს“ ოთხი ქულით ვუსწრებდით, წლეულს კი ფაქტია, უკეთ უნდა ვითამაშოთ“.

**პაპუნა ძიძია**

# მე ვარ, როი კინი!

## ვინ არის ჯერარდი და ვიეირა?



**„მანჩესტერ იუნაიტედის“ კაპიტანი, როი კინი კრიტიკოსებს შეეპასუხა, ტყუილად ფიქრობთ, რომ სტივენ ჯერარდის ან პატრიკ ვიეირას დონეზე ველარ ვთამაშობო. საქმე კი ის გახლავთ, რომ ირლანდიელს ამ ბოლო დროს შებედეს და ხშირადაც გაუმეორეს, რომ ალექს ფერგიუსონის გუნდში უკვე მუხრუჭის როლს ასრულებს. კინმა ასეთი შეფასება, როგორც მოსალოდნელი იყო, ვერ აიტანა და დაიქადნა, რომ კრიტიკოსების ჯინაზე „არსენალს“ ინგლისის ჩემპიონის ტიტულს ჩამოართმევს.**

ცნობისთვის: „მანჩესტერ იუნაიტედი“ ამერიკის შეერთებულ შტატებშია და ახალი სეზონისთვის ემზადება, ხოლო ჟურნალისტებმა კაპიტანს იქაც მიაგნეს და ამ ბოლო დროს განსაკუთრებით პოპულარულ ლივერპულელ სტივენ ჯერარდზე ჰკითხეს. საქმე ის გახლავთ, რომ განსაკუთრებით მომძლავრდა ხმები, რომელთა თანახმად, დღეს პრემიერლიგის საყრდენ ნახევარმცველთა მედროშე ჯერარდია.

„თუ ვინმეს ჩემი კრიტიკა სიამოვნებს კი ბატონო, მაკრიტიკოს, მე კი, ჩემი მხრივ, შევეცდები გულთან ახლოს არაფერი მივიტანო. ყოველ დილით ერთსა და იმავეზე ვფიქრობ: კიდევ შემიძლია „მანჩესტერ იუნაიტედს“ რაიმე შევთავაზო თუ არა? ჩემი პასუხია: დიახ, შემიძლია! ეჭვი არ მეპარება, რომ ვიეირას და ჯერარდის დონის ფეხბურთელებთან პაექრობა შემიძლია. როდესაც ვიგრძნობ, რომ აღარ შემწევს ამის უნარი, თავად გადავდგამ სწორ ნაბიჯს. ალექს ფერგიუსონმა ჯერარდი ფრიად აქო და მართლაც, ის ჩინებული ფეხბურთელია, მაგრამ ვიცი, რომ მე მას ვჯობნი და ამას იმიტომ სულაც არ ვამბობ, რომ ტრაბახა ვარ.

გახსოვთ, ჯერარდის შარშანდელი სეზონი? პირველი სამთვენახევრის განმავლობაში ბურთისთვის ფეხი არ მიურტყამს“.

შემდეგ ირლანდიელმა ფრანგ პატრიკ ვიეირაზე თქვა, რომ იგი დიდ მატჩებში ვერ თამაშობს კარგად.

„დააკვირდით ვიეირას. გახსოვთ, ჩემპიონთა ლიგის შეხვედრა „არსენალს“ და „ჩელსის“ შორის? „ჰაიბერიზე“ გამართული მატჩის მეორე ტაიმის ბოლოს „არსენალის“ ფეხბურთელებს მოედანზე უბრალოდ ვერ იპოვნიდით. ასე რომ, ვინ სეზონის რომელ მონაკვეთში თამაშობს კარგად ის არის სათქმელი.

ამ ორის გარდა ინგლისში მოთამაშე სხვა წამყვან ფეხბურთელებსაც ვაკვირდები და შემდეგ ისევ ვეკითხები საკუთარ თავს. პასუხი მარად ერთია — არც ერთ მათგანთან არაფერს არ წავაგებ.

დიახ, ეს ფეხბურთია, მაგრამ მე ჯერ კიდევ ნებისმიერი მეტოქის ტოლად აღვიქვამ თავს“.

**პაპუნა ძიძია**

## ამხანაგური მატჩები

**მანჩესტერი 0:0(პენ.2:4) ბაიერნი**

მანჩესტერი: კეროლი, ბირდსლი, მაკშეინი, სპექტორი, ოგლსი (ოში 69), ჯორდაჩი (ჯოუნსი 69), როი კინი, რიჩარდსონი (ჯიდვიკი 81), ჯემბაჯემბა, ბელიონი, ა. სმიტი

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

ბაიერნი: კანი, გიორლიცი, თ. ლინკე (დემიკელისი 46), კუფური, რაუ (რ. კოვაჩი 46), სალიჰამიჯიჩი (ტროხოვსკი 46), ჰარგრივსი (ჰაშემიანი 46), ბალაკი, დაისლერი (შოლი 46), ზე რობერტო (ფრინგსი 46), მაკაი (სანტა კრუზი 46)

მწვრთნელი: ფელიქს მაგათი

მსაჯი: ტერი ვაფნი (აშშ)

65 000 მაყურებელი

**ლიდსი 2:2 ვალენსია**

0:1 სისოკო (37), 0:2 რუფეტე (39), 1:2 უოლტონი (54პ), 2:2 სპრინგსი (68)

ლიდსი: კერსონი, გ. კელი (რჟასა 46), დაბერი, კილგალონი (რადებე 46), უოლტონი, ბატლერი, რიჩარდსონი (კარლაილი 46), სპრინგსი (მაკმასტერი 46), დინი, ჯოუჩიმი, პაფი (ჯონსონი 46)

მწვრთნელი: პიტერ რიდი

ვალენსია: პალოპი, კურო ტორესი, დ. ნავარო (გარიდო 46), პელეგრინო (მორეტი 46), კარბონი (სალვა 46), დე ლოს სანტოსი (პედრო ლოპესი 46), სისოკო (ბუტელე 46), რუფეტე (კანობიო 46), ხისკო (პარი 46), ანგულო (გ. რედონდო 46), მისტა (ხორხე ლოპესი 46)

მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი

გაძევება: უოლტონი (71)

მსაჯი: მეტ მესიასი (ინგლისი)

10 000 მაყურებელი

**ბენფიკა 2:2 რეალი**

1:0 ზაჰოვიჩი (1), 1:1 რონალდო (2), 1:2 მორიენტესი (77), 2:2 ჟოვანი (90)

ბენფიკა: იანიკი (მორეირა 57), არჟელი, პაულუ ალმეიდა, რიკარდუ როჩა (ამორეირინია 60), მიგელი, პეტიტი (ბრუნო აგიარი 60), დუშ სანტუში (ფისასი 71), ჟოვანი, შოკოტა (მანტორაში 79), ზაჰოვიჩი (მანუელ ფერნანდეში 81), სიმაო (ჟოაუ პერეირა 57)

მწვრთნელი: ჯოვანი ტრაპატონი

რეალი: კასილიასი (სესარი 46), სალგადო, ი. ელგერა, ვ. სამუელი (მეხია 84), რობერტო კარლოსი (რაულ ბრავო 46), ნუნიესი (მინამბრესი 70), ბექემი (პავონი 46), გუტი (სელადესი 70), ზიდანი (სოლარი 46), რაული, რონალდო (მორიენტესი 46)

მწვრთნელი: ხოსე ანტონიო კამაჩო

მსაჯი: ბრუნო პაიშაო (პორტუგალია)

40 000 მაყურებელი

## უკრაინა

### პრემიერლიგა. III ტური

დნიპრო — შახტარი 1:3; დინამო — ვოლინი 3:0; ილიჩევეცი — ტავრია 2:2; ჩერნომორეცი — ზაკარპატია 0:0; მეტალურგი (დ) — კრივბასი 1:1; ვორსკლა — მეტალისტი 0:1; ბორისფენი — ობოლონი 0:0; მეტალურგი (ზ) — არსენალი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შახტარი | 3 | 3 | 0 | 0 | 6:1 | 9 |
| მეტალურგი (დ) | 3 | 2 | 1 | 0 | 7:3 | 7 |
| ვორსკლა | 3 | 2 | 0 | 1 | 4:1 | 6 |
| დინამო | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 6 |
| დნიპრო | 3 | 2 | 0 | 1 | 7:6 | 6 |
| ვოლინი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:5 | 6 |
| ჩერნომორეცი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:2 | 4 |
| მეტალისტი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:8 | 3 |
| მეტალურგი (ზ) | 3 | 0 | 3 | 0 | 2:2 | 3 |
| ბორისფენი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| ტავრია | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | 2 |
| ილიჩევეცი | 2 | 0 | 1 | 1 | 4:5 | 1 |
| ზაკარპატია | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| ობოლონი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:3 | 1 |
| კრივბასი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | 1 |
| არსენალი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:3 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამსახურებრივი რომანი

## ერიკსონი ერექციას ეწირება

იცით რა ხდება ინგლისში? ნაკრების შვედი მწვრთნელი, სვენ გორან ერიკსონი შეიძლება სამსახურიდან გააგდონ. მიზეზი: ფეხბურთის ასოციაციის მდივანი, 38 წლის ფერია ელამი შემოესიყვარულა. ამის გამო ასოციაციის შეფები გადარევას არიან. წინა კვირაში ორჯერ ჰკითხეს სვენს, მართლა ჰქენი ეგ ამბავი თუ არაო და მანაც ორჯერ არაო, მიუგო. შემდეგ კი დადგა შაბათი, როდესაც ქალბატონმა ელამმა კიო, განაცხადა. გარდა ამისა, ქალმა ლამაზმა თქვა, რომ მანამდე სვენის შეფთან, ასოციაციის აღმასრულებელ შეფთან მარკ პელიოსთანაც სჩადიოდა სატრფიალო იმეებს

## სვენის მოყვარული ფერია დაითხოვეს





დევიდ რიჩარდსი, პრემიერლიგის თავმჯდომარე და ფეხბურთის ასოციაციის საბჭოს მთავარი წევრი:

„მწამს საბჭო განმარტებას მოითხოვს. მგონი, კაცს ტყუილში რომ გამოიჭერენ, საქმე სერიოზულად არის“.

უსახელო კაცი, იმავე საბჭოს კიდევ ერთი მთავარი წევრი:

„გაოგნებული ვარ, ეს რა ჰქნა სვენმა? საშინელებაა, როდესაც ჯერ ერთ განცხადებას აკეთებ, შემდეგ მის საპირისპიროს. ამის გამო ხალხს სამსახურებიდან აგდებენ“.

ფრენკ ჰანა, ფეხბურთის ასოციაციის სამარადჟამო ვიცე-პრეზიდენტი, იმავე საბჭოს წევრი:

„საბჭოს ამის ძალაუფლება აქვს და თუ საჭიროდ მიიჩნევს, ვისაც გნებავთ, იმას გაათავისუფლებს სამსახურიდან. ასოციაცია მომხდარმა ძლიერ გაალიზიანა და ამიტომ მკაცრ საუბარს ველი“.

უსახელო ძალიან მაღალჩინოსანი:

„ფეხბურთის ასოციაცია მთლიანად შეძრულია. ცხადია, ისმება კითხვა, როგორ უნდა გააგრძელონ თავიანთ ადგილებზე მუშაობა სვენმა და მარკმა? ორივე უცოლოა და შეუძლიათ რომანი გააბან ვისთანაც მოეპრიანებათ, მაგრამ თუ ამის გამო სიტუაცია ირევა, მაშინ უკვე სხვა ისტორიაა. თუ ინგლისში თვით ეროვნული ნაკრების მწვრთნელი ატყუებს თანამშრომლებს, მაშინ რა უნდა მოხდეს სხვა სამსახურებში?“

ნუ, ქალბატონი, რომელმაც ზემოხსენებული ორი ბატონი მიისიყვარულა, ამ დღეებში სამსახურს სტოვებს. მოტივი ძალიან მარტივია: ინგლისის ფეხბურთის ასოციაციას მატყუარა თანამშრომელი არ სჭირდება.

ხოლო ინგლისური პრესა, უფრო სწორედ „სანი“ და მისი საკვირაო დამატება თუ რაღაც ასეთი, „ნიუზ ოფ ზი უორლდი“, ჟარგონი გვაპატიეთ და გლიჯავენ (თუ გნებავთ ხურავენ). მათ გამოიკვლიეს, რომ სვენი ფერიასთან გასულ თვეში სამჯერ მისულა. ეს მეზობელს დაუნახავს. ქალს სამოთახიანი ბინა ჰქონია პირველ სართულზე სადღაც ტაუერ ბრიჯთან.

საინტერესოა, რომ სვენი ვერცხლისფერი მერსედესით მისულა და ერთხანს მანქანიდან არ გამოსულა, ნუ მოკლედ, სანამ არ დარწმუნდა, რომ მოწმე არავინ არის, მანქანაში გასუსულა, მერე კი ქალს შინ შეუშვია და, როგორც, ქართულად რომ ვთქვათ, „პლაშადკის“ მეზობელი ამბობს, სასადილო ოთახში ერთი ბოთლა ღვინოდ დაულევიათ. კიდევ, იმავე მეზობელს სვენი სამზარეულოშიც დაუნახავს. ფერია იმ დროს საჭმელს აკეთებდაო.

გუშინწინ სვენ გორან ერიკსონმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ამ ამბის კომენტირებას არც ხვალ აპირებს და არც ზეგ. ის ამ ამბავზე არასდროს არაფერს იტყვის. შემდეგ ის სადღაც რესტორანში უნახავთ 75 წლის მამა სვენთან, 78 წლის დედა ულასთან, ძმა ლარს ერიკთან და ძმაკაცებთან ერთად. ამბობენ ლაღად იქცეოდაო. „სანის“ ჟურნალისტებმა კი განაცხადეს, მის უახლოეს მეგობარს ტორად გრიას დავაცდენინეთ, რომ მასთან საუბრისას პანიკაში იყოო.

არა, ბიჭო, აბა, წელიწადში 4 მილიონს, თან გირვანქას, თვითონ ჰკარგავდნენ...

და რა მოხდება თუ სვენი სამსახურიდან წავა? მის ადგილს სტივ მაკლარენი დაიკავებს — ინგლისის ნაკრები 4 სექტემბერს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრაში ავსტრიაში ხვდება ავსტრიას.

სტივ მაკლარენი ამწუთას „მიდლსბროს“ უდგას სათავეში, მან ფეხბურთის ასოციაციას, როგორც ერიკსონის გუნდის წევრმა, საკმაოდ მოაწონა თავი.

**პაპუნა ძიძია**



სტივ მაკლარენი



მარკ პელიოსი




# ბუნდესკონტრაქტი გაფორმდა

## კლინსმანი მაყარს არ დაელოდა

როგორც იქნა, ბუნდესნაკრებს ახალი მწვრთნელი ჰყავს — იურგენ კლინსმანმა გერმანიის საფეხბურთო კავშირთან გუშინ ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა და მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის დასრულებამდე ნაკრებს ის გაუძღვება

39 წლის კლინსმანმა კავშირთან კონტრაქტის ფინანსური მხარე შეათანხმა, წვრილმან საკითხებს კი რამდენიმე დღეში დააზუსტებენ.

გერმანელთა ახალი თავკაცის სამწვრთნელო გამოცდილება მხოლოდ ხუთთვიანი პრაქტიკით შემოიფარგლება. იურგენ კლინსმანი 2004 წლის თებერვლიდან ამერიკულ „ლოს ანჯელეს გალაქსში“ მრჩევლად მუშაობდა.

ნაკრების მწვრთნელად მის დანიშვნაში ბერტი ფოგტსს უთამაშია დიდი როლი. საფეხბურთო კავშირის წევრები კანდიდატებს რომ ეძებდნენ, ფოგტსი ლოს ანჯელესში ჩასულა და კლინსმანისთვის უკითხავს, ეროვნული გუნდის თავკაცობას თუ შეძლებო, რაზეც თანხმობა მიუღია. ამის შემდეგ ფოგტსს გერჰარდ მაიერ-ფორფელდერისთვის დაურეკავს და ეს ამბავი მოუხსენებია. ფორფელდერის ამერიკაში სასწრაფო გადაფრენაც კლინსის პასუხმა განაპირობა.

გერმანიის საფეხბურთო კავშირთან კონტრაქტები ჯერ არ გაუფორმებიათ ოლივერ ბირჰოფს და ჰოლგერ ოსიეკს. ოსიეკი კანადიდან გერმანიაში ხვალ ჩავა და კვირის ბოლომდე კლინსმანის თანაშემწისა და ნაკრების მენეჯერის საკითხიც საბოლოოდ გაირკვევა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ოვერმარსის მუხლმა ფეხბურთი დაასრულა



„ჩემი კარიერა დასრულდა — თქვა გუშინ მარკ ოვერმარსმა ბარსელონაში საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე — მუხლის ტკივილი მტანჯავს და ველარ ვითამაშებ ისე, როგორც მსურს. ფეხბურთიდან წასვლა ამიტომ გადავწყვიტე“.

31 წლის მარკ ოვერმარსი ყველაზე ძვირადღირებული ჰოლანდიელია. 2000 წელს „ბარსელონამ“ „არსენალს“ მის სანაცვლოდ დაახლოებით 36 მილიონი ევრო ჩაუთვალა. ეს სატრანსფერო თანხმა „ბარსელონასთვისაც“ სარეკორდოა. ამდენი ფული კატალონიელებს ფეხბურთელში არასოდეს გადაუხდიათ.

უძვირფასესი ჰოლანდიელი „ბარსელონაში“ ვერ „ჩაეწერა“ და ძირითად შემადგენლობას გაუუცხოვდა.

მისი სანაკრებო დებიუტი 1993 წლის თებერვალში თურქეთთან შედგა. მან 86-ჯერ ითამაშა „ნარინჯისფერი“ მაისურით და 17 გოლი გაიტანა.

საკლუბო კარიერა „იგლსში“ დაიწყო, მერე „ტილბურგში“ გადავიდა, საიდანაც ამსტერდამის „აიაქსმა“ წაიყვანა. „აიაქსიდან“ კი ლონდონის „არსენალში“ აღმოჩნდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

### სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). I ტური** | | | | | | |
| | | **30 ივლისი** | | | | | | |
| 21.00 | 003 | ვერდერი(მ)-ლიუბეკი | 2,35 | 3,3 | 2,5 | 1,37 | 1,21 | 1,42 |
| | | **31 ივლისი** | | | | | | |
| 16.00 | 004 | მიუნსტერი-ფორტუნა | 2,0 | 3,3 | 3,2 | 1,24 | 1,23 | 1,62 |
| 16.00 | 005 | ვუპერტალი-ზ.პაული | 1,8 | 3,3 | 3,6 | 1,16 | 1,19 | 1,72 |
| 16.00 | 006 | კილი-ჰამბურგი(მ) | 1,85 | 3,3 | 3,5 | 1,18 | 1,21 | 1,69 |
| 16.00 | 007 | ურდინგენი-პადერბორნი | 2,45 | 3,2 | 2,45 | 1,38 | 1,22 | 1,38 |
| 16.00 | 008 | ბრაუნშვაიგი-დორტმუნდი(მ) | 1,8 | 3,3 | 3,6 | 1,16 | 1,19 | 1,72 |
| | | **1 აგვისტო** | | | | | | |
| 15.30 | 009 | ჰერტა(მ)-უნიონი | 2,45 | 3,2 | 2,45 | 1,38 | 1,22 | 1,38 |
| 16.00 | 010 | ვოლფსბურგი(მ)-არმინია(მ) | 1,85 | 3,3 | 3,5 | 1,18 | 1,21 | 1,69 |
| 16.00 | 011 | კიოლნი(მ)-ოსნაბრიუკი | 3,0 | 3,3 | 2,1 | 1,57 | 1,23 | 1,28 |
| | | **ავსტრია. ბუნდესლიგა. III ტური** | | | | | | |
| | | **31 ივლისი** | | | | | | |
| 21.30 | 014 | ზალცბურგი-ტიროლი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 21.30 | 015 | შტურმი-ადმირა | 1,75 | 3,3 | 4,2 | 1,14 | 1,23 | 1,84 |
| 21.30 | 016 | ბრეგენცი-გრაცერი | 3,8 | 3,3 | 1,8 | 1,76 | 1,22 | 1,16 |
| 21.30 | 017 | მატერსბურგი-პაშინგი | 2,7 | 3,1 | 2,4 | 1,44 | 1,27 | 1,35 |
| | | **1 აგვისტო** | | | | | | |
| 21.30 | 018 | აუსტრია-რაპიდი | 2,05 | 3,1 | 3,4 | 1,23 | 1,27 | 1,62 |
| | | **ავსტრია. I დივიზიონი. II ტური** | | | | | | |
| | | **27 ივლისი** | | | | | | |
| 21.00 | 021 | აუსტრია(ლ)-ლეობენი | 1,7 | 3,3 | 4,4 | 1,12 | 1,22 | 1,88 |
| 21.00 | 022 | კაფენბერგი-ალტახი | 1,7 | 3,3 | 4,4 | 1,12 | 1,22 | 1,88 |
| 21.00 | 023 | კერნტენი-გრატკორნი | 1,35 | 4,2 | 7,0 | 1,02 | 1,13 | 2,62 |
| 21.00 | 024 | ლინცერი-უნტერზიბენბრიუნი | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,15 | 1,22 | 1,73 |
| 21.00 | 025 | ვიორგლი-რიდი | 2,9 | 3,1 | 2,25 | 1,49 | 1,26 | 1,3 |
| | | **შვეიცარია. სუპერლიგა. II ტური** | | | | | | |
| | | **27 ივლისი** | | | | | | |
| 21.30 | 028 | აარაუ-თუნი | 2,35 | 3,2 | 2,7 | 1,35 | 1,25 | 1,46 |
| 21.30 | 029 | ციურიხი-სტ.გალენი | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| | | **დანია. სუპერლიგა. II ტური** | | | | | | |
| | | **31 ივლისი** | | | | | | |
| 19.00 | 049 | მიდტიულანდი-ოდენსე | 2,05 | 3,3 | 3,2 | 1,26 | 1,24 | 1,62 |
| | | **1 აგვისტო** | | | | | | |
| 17.00 | 050 | რანდერსი-ჰერფიოლგე | 2,45 | 3,2 | 2,5 | 1,38 | 1,23 | 1,4 |
| 17.00 | 051 | სილკებორგი-ორჰუსი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 17.00 | 052 | ოლბორგი-ნორდსიელანდი | 1,7 | 3,4 | 4,4 | 1,13 | 1,22 | 1,91 |
| 17.00 | 053 | ბრიონდბიუ-ვიბორგი | 1,5 | 3,8 | 5,6 | 1,07 | 1,18 | 2,26 |
| 19.35 | 054 | კოპენჰაგენი-ესბიერგი | 1,75 | 3,4 | 4,0 | 1,15 | 1,21 | 1,83 |
| | | **შვედეთი. ალსვენსკა. XIII ტური** | | | | | | |
| | | **27 ივლისი** | | | | | | |
| 22.00 | 067 | ჰალმსტადი-ჰამარბი | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 |
| | | **შვედეთი. სუპერეტა. XVI ტური** | | | | | | |
| | | **28 ივლისი** | | | | | | |
| 21.00 | 077 | ფრიოლუნდა-ბრომაპოიკარნა | 1,65 | 3,5 | 4,4 | 1,12 | 1,2 | 1,94 |
| 21.00 | 078 | ოპერა-ენჩიოპინგი | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,15 | 1,22 | 1,73 |
| | | **29 ივლისი** | | | | | | |
| 21.00 | 079 | გაის-ასირისკა | 2,0 | 3,3 | 3,2 | 1,24 | 1,23 | 1,62 |
| 21.00 | 080 | გეფლე-ბოდენსი | 1,5 | 3,8 | 5,3 | 1,07 | 1,16 | 2,21 |
| 21.00 | 081 | ნორჩიოპინგი-ბრაგე | 1,5 | 3,8 | 5,3 | 1,07 | 1,16 | 2,21 |
| 21.00 | 082 | ვესტეროსი-ატვიდაბერგი | 2,35 | 3,2 | 2,6 | 1,35 | 1,23 | 1,43 |
| 21.00 | 083 | ფალკენბერგი-ჰეკენი | 5,3 | 3,8 | 1,5 | 2,21 | 1,16 | 1,07 |
| | | **ფინეთი. ვეიკაუსლიგა. XVII ტური** | | | | | | |
| | | **29 ივლისი** | | | | | | |
| 19.00 | 105 | ტამპერე-ჯაზი | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |
| 19.30 | 106 | ინტერი-ტპ 47 | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |
| 19.30 | 107 | მიუპა-იარო | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |
| | | **ისლანდია. პრემიერ დივიზიონი. XII ტური** | | | | | | |
| | | **28 ივლისი** | | | | | | |
| 23.15 | 114 | ვესტმანაეიარი-აკურიერი | 1,75 | 3,2 | 4,0 | 1,13 | 1,21 | 1,77 |
| | | **რუსეთი. პრემიერლიგა. გადადებული მატჩი** | | | | | | |
| | | **28 ივლისი** | | | | | | |
| 16.00 | 124 | სპარტაკი-როსტოვი | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |
| | | **პოლონეთი. I ლიგა. I ტური** | | | | | | |
| | | **30 ივლისი** | | | | | | |
| 22.00 | 159 | ზაგლებე-კრაკოვია | 1,95 | 3,2 | 3,3 | 1,21 | 1,22 | 1,62 |
| | | **31 ივლისი** | | | | | | |
| 20.00 | 160 | კატოვიცე-ლეხი | 2,7 | 3,1 | 2,3 | 1,44 | 1,24 | 1,32 |
| 20.00 | 161 | ოდრა-ამიკა | 2,3 | 3,1 | 2,7 | 1,32 | 1,24 | 1,44 |
| 20.00 | 162 | პლოცკი-გურნიკი | 1,7 | 3,3 | 4,2 | 1,12 | 1,21 | 1,84 |
| 22.00 | 163 | ვისლა-ლეჩნა | 1,2 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,05 | 3,21 |
| | | **1 აგვისტო** | | | | | | |
| 21.00 | 164 | პოგონი-ლეგია | 3,8 | 3,3 | 1,75 | 1,76 | 1,19 | 1,14 |
| | | **ბრაზილია. სერია A. XIX ტური** | | | | | | |
| | | **28 ივლისი** | | | | | | |
| 03.30 | 167 | ატლეტიკო პრ-პონტე პრეტა | 1,8 | 3,3 | 3,6 | 1,16 | 1,19 | 1,72 |
| 03.30 | 168 | ბოტაფოგო-ფლამენგო | 2,5 | 3,1 | 2,45 | 1,38 | 1,23 | 1,36 |
| 03.30 | 169 | კორინთიანსი-კრუზეირო | 2,15 | 3,2 | 3,0 | 1,28 | 1,25 | 1,54 |
| 03.30 | 170 | პაისანდუ-კრიკიუმა | 1,7 | 3,4 | 4,2 | 1,13 | 1,21 | 1,87 |
| 03.30 | 171 | გრემიო-ვიტორია | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,15 | 1,22 | 1,73 |
| 04.45 | 172 | გუარანი-პალმეირასი | 2,8 | 3,2 | 2,25 | 1,49 | 1,24 | 1,32 |
| 04.45 | 173 | ჟუვენტუდი-სან პაულუ | 2,0 | 3,2 | 3,3 | 1,23 | 1,24 | 1,62 |
| 04.45 | 174 | ფიგეირენსე-ფლუმინენსე | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| | | **29 ივლისი** | | | | | | |
| 03.30 | 175 | სანტოსი-კურიტიბა | 1,45 | 3,8 | 6,0 | 1,04 | 1,16 | 2,32 |
| 03.30 | 176 | სან კაეტანო-ინტერნასიონალი | 1,7 | 3,3 | 4,4 | 1,12 | 1,22 | 1,88 |
| 03.30 | 177 | ვასკუ და გამა-გოიასი | 1,8 | 3,3 | 3,6 | 1,16 | 1,19 | 1,72 |
| 03.30 | 178 | ატლეტიკო მნ-პარანა | 1,65 | 3,4 | 4,6 | 1,11 | 1,21 | 1,95 |
| | | **შოტლანდია. ლიგის თასი. I ეტაპი** | | | | | | |
| | | **31 ივლისი** | | | | | | |
| 18.00 | 212 | ერდრი-ქუინი | 2,3 | 3,4 | 2,5 | 1,37 | 1,19 | 1,44 |
| 18.00 | 213 | ალოა-ელგინი | 1,35 | 4,2 | 7,0 | 1,02 | 1.13 | 2,62 |
| 18.00 | 214 | არბროთი-პიტერჰედი | 2,15 | 3,4 | 2,8 | 1,31 | 1,21 | 1,53 |
| 18.00 | 215 | ეარი-ფოლკირკი | 3,2 | 3,5 | 1,9 | 1,67 | 1,19 | 1,23 |
| 18.00 | 216 | დამბარტონი-სტირლინგი | 1,75 | 3,4 | 3,8 | 1,15 | 1,19 | 1,79 |
| 18.00 | 217 | ისტ ფაიფი-კოუდენბითი | 1,9 | 3,5 | 3,2 | 1,23 | 1,19 | 1,67 |
| 18.00 | 218 | ისტ სტირლინგი-ბერიკი | 7,0 | 5,0 | 1,25 | 2,91 | 1,06 | 1 |
| 18.00 | 219 | ფორფარი-მორტონი | 2,8 | 3,5 | 2,1 | 1,55 | 1,19 | 1,31 |
| 18.00 | 220 | გრეტნა-მონტროუზი | 1,6 | 3,6 | 4,6 | 1,1 | 1,18 | 2,01 |
| 18.00 | 221 | პარტიკი-ბრეჩინი | 1,5 | 3,8 | 5,0 | 1,07 | 1,15 | 2,15 |
| 18.00 | 222 | ქუინზ პარკი-სტენჰაუზმური | 2,5 | 3,4 | 2,3 | 1,44 | 1,19 | 1,37 |
| 18.00 | 223 | რეითი-ალბიონი | 1,3 | 4,8 | 7,5 | 1,02 | 1,1 | 2,92 |
| 18.00 | 224 | როსი.სტ.მირენი | 2,0 | 3,4 | 3,1 | 1,25 | 1,21 | 1,62 |
| 18.00 | 225 | სტ.ჯონსტონი-ჰამილტონი | 1,6 | 3,6 | 4,6 | 1,1 | 1,18 | 2,01 |
| | | **გერმანია. ლიგის თასი. 1/2 ფინალი** | | | | | | |
| | | **28 ივლისი** | | | | | | |
| 22.30 | 228 | ბაიერნი-ლევერკუზენი | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |
| | | **29 ივლისი** | | | | | | |
| 22.30 | 229 | ვერდერი-შტუტგარტი | 2,35 | 3,1 | 2,8 | 1,33 | 1,27 | 1,47 |
| | | **ჩემპიონთა ლიგა. II შესარჩევი ეტაპი. I მატჩები** | | | | | | |
| | | **27 ივლისი** | | | | | | |
| 18.00 | 235 | ვიტ ჯორჯია-ვისლა | 3,2 | 3,0 | 1,9 | 1,54 | 1,19 | 1,16 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 236 | ნეფთჩი-ცსკა | 5,0 | 3,6 | 1,55 | 2,09 | 1,18 | 1,08 |
| 20.00 | 237 | პიუნიკი-შახტარი | 4,2 | 3,2 | 1,7 | 1,81 | 1,21 | 1,11 |
| 20.00 | 238 | ტირანა-ფერენცვაროში | 2,9 | 3,0 | 2,2 | 1,47 | 1,25 | 1,26 |
| 20.00 | 239 | პიკ-მაკაბი | 2,15 | 3,2 | 3,0 | 1,28 | 1,25 | 1,54 |
| 22.15 | 240 | გორიცა-კოპენჰაგენი | 2,5 | 3,1 | 2,45 | 1,38 | 1,23 | 1,36 |
| | | **28 ივლისი** | | | | | | |
| 20.00 | 241 | სკონტო-ტრაბზონი | 2,8 | 3,1 | 2,3 | 1,47 | 1,26 | 1,32 |
| 21.00 | 242 | აპოელი-სპარტა | 4,4 | 3,3 | 1,7 | 1,88 | 1,22 | 1,12 |
| 22.00 | 243 | ჟილინა-დინამო(ბქ) | 2,3 | 3,1 | 2,8 | 1,32 | 1,26 | 1,47 |
| 22.15 | 244 | იანგ ბოიზი-ცრვენა ზვეზდა | 2,2 | 3,1 | 3,0 | 1,28 | 1,26 | 1,52 |
| 22.30 | 245 | ჰაიდუკი-შელბურნი | 1,25 | 4,6 | 8,5 | 1 | 1,08 | 2,98 |
| 22.30 | 246 | ბრიუგე-ლოკომოტივი(პლ) | 1,22 | 4,8 | 9,0 | 1 | 1,07 | 3,13 |
| 22.30 | 247 | რუსენბორგი-შერიფი | 1,15 | 5,6 | 11,0 | 1 | 1,04 | 3,71 |
| 22.30 | 248 | იურგორდენი-კაუნასი | 1,3 | 4,0 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,66 |
| | | **უეფას თასი. I შესარჩევი ეტაპი. II მატჩები** | | | | | | |
| | | **27 ივლისი** | | | | | | |
| 22.45 | 249 | ბოჰემიანი-ლევადია | 1,6 | 3,4 | 4,8 | 1,08 | 1,2 | 1,99 |
| | | **ინტერტოტოს თასი. 1/2 ფინალი. I მატჩები** | | | | | | |
| | | **28 ივლისი** | | | | | | |
| 19.30 | 274 | ოფკ-ატლეტიკო | 3,2 | 3,1 | 2,1 | 1,57 | 1,26 | 1,25 |
| 20.00 | 275 | ლილი-სლავენი | 1,45 | 3,8 | 6,0 | 1,04 | 1,16 | 2,32 |
| 20.30 | 276 | ესბიერგი-შალკე | 3,0 | 3,2 | 2,15 | 1,54 | 1,25 | 1,28 |
| 21.00 | 277 | ლიბერეცი-ნანტი | 2,3 | 3,1 | 2,8 | 1,32 | 1,26 | 1,47 |
| 22.30 | 278 | გენკი-ლეირია | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |
| 23.30 | 279 | ვილიარეალი-ჰამბურგი | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,15 | 1,22 | 1,73 |


CROCO BOOKMAKERS
კროკო

# ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით





# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ქავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | წმინდა ნინოს ქუჩა № 13 | |
| | ქავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა № 14 | |
| თელავი | „ახალი ავტოსადგური" ალაზნის გამზირი | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 1 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №50 | |
| ოზურგეთი | გაბრიელ ეპიკოპოსის ქუჩა №2 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |

CROCO BOOKMAKERS
კროკო

**ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება**

# ზავი ზღვა და ზღვა გეგმები

## ზაზა ქასაშვილი: ქართული კლუბები უცხოეთში უნდა გაკეთდნენ

პრეტორიული „ბლუ ბულზის“ თბილისური შეკრებისას ცნობილი გახდა, რომ სამხრეთ აფრიკაში საპასუხო ვიზიტით საქართველოს ნაკრები 2005 წლის დასაწყისში გაემგზავრებოდა. უცხოური შეკრება ბორჯღალოსნებს კარსმომდგარი ერთა თასის გათამაშების წინ განსაკუთრებით წაადგებოდათ და თარიღიც ამის გათვალისწინებით შეირჩა, თუმც არცთუ დიდი ხნის წინ მომავალი ერთა თასის კალენდარი შეიცვალა და პირველმა ტურმა წლევანდელი შემოდგომისთვის გადმოიწია.

ჩვენი ნაკრები რუსეთს თებერვლის ნაცვლად ნოემბერში უნდა ესტუმროს. აქედან გამომდინარე, დამატებითი შეკრების დაგეგმვის აუცილებლობა გაჩნდა და ამ დღეებში ეს პრობლემაც მოგვარდა.

ნოემბრის პირველ რიცხვებში საქართველოს ნაკრები ტესტ-მატჩების გასამართად ჩილეს და ურუგვაის მიაშურებს. ეს საქმე IRB-მ გაჩარხა და ახლა საქართველოს რაგბის კავშირს სამხრეთამერიკელებთან დეტალების მოგვარებაღა მოუწევს. დაფინანსებას თავის თავზე იღებს რაგბის საერთაშორისო ფედერაცია. მსგავსი საჩუქარი IRB-მ პორტუგალიასაც გაუკეთა. მოთხოვნა მხოლოდ ერთია: ევროპელთა ტესტები ერთმანეთს უნდა დაემთხვეს. ვთქვათ, როცა საქართველო შინ ჩილეს ეთამაშება, პორტუგალიამ ურუგვაიში უნდა იბურთაოს, მერე კი პირიქით. თან ეს ყოველივე ნოემბრის შუა რიცხვებამდე უნდა მომთავრდეს, რათა საქართველომ 20-ში რუსეთში წასვლა მოასწროს.

ერთა თასის კალენდრის შეცვლამ და საქართველოს ნაკრების ტესტების გამოჩენამ ერთ ახალ პროექტსაც დაატყო კვალი. საშემოდგომოდ დაგეგმილ საკლუბო რაგბის ტურნირ „შავი ზღვის თასს“ წლეულს სადემონსტრაციო სახე ექნება და სულ რაღაც ერთ კვირაში ჩაეტევა.

„დაახლოებით ოქტომბრის დასაწყისში ჩვენი, რუმინეთის, რუსეთისა და უკრაინის თითო კლუბი კიევში შეიკრიბება და შავი ზღვის პირველ თასს გაითამაშებს — გვითხრა გუშინ საქართველოს რაგბის კავშირის ვიცეპრეზიდენტმა ზაზა ქასაშვილმა — ამ ტურნირის უმთავრესი მიზანი ფინანსური მომგებიანობა უნდა იყოს და მონაწილე გუნდებმა არანაირი ხარჯი თავად არ უნდა გასწიონ. თუმც წლეულს ფინანსური საკითხის მოგვარება არ ესწრება და ოთხივე გუნდს თავად მოუწევს ჯიბეზე ხელის გაკვრა.“



მოახერხებს საქართველოს თასის მფლობელი „ლოკომოტივი“ „შავი ზღვის თასზე“ გამგზავრებას?

ქასაშვილისვე თქმით, მომავალი წლიდან შავი ზღვის თასისთვის ოთხი ქვეყნის ორორი გუნდი იბრძოლებს, თან თამაშები მარტო ერთ ქვეყანაშიც აღარ ჩატარდება. 2006 წლიდან კი უკვე მიმოსვლითი სისტემაც დამტკიცდება და ნელ-ნელა ტურნირი სრულყოფილ სახეს მიიღებს. მანამდე კი უკრაინული კვირეულით დავკმაყოფილდეთ. ხოლო რომელი ქართული კლუბი შევა ოქტომბრის ოთხეულში, ჯერ ბოლომდე არ გადაწყვეტილა.

**ოთარ მაღლაკელიძე**





# ტექნიკური საკითხი

## სტუ სირიაში გამთლიანდება

**10 სექტემბერს** „სტუ-ჯეოსელი“ სირიაში გაემგზავრება, სადაც სხვა ქვეყნების გუნდებთან ერთად საერთაშორისო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. ეს ამბავი უკვე გადაწყვეტილია, მაგრამ ჯერ ის არ არის ცნობილი, ტექნიკოსები რა შემადგენლობით წავლენ სირიაში. დღეს „სტუ-ჯეოსელი“ ფაქტობრივად არ არსებობს, არც ერთ მოთამაშესთან კონტრაქტი არ აკავშირებს, მაგრამ, როგორც მთავარი მწვრთნელი ნუგზარ ჭეიშვილი ამბობს, ყველაფერი მალე მოგვარდება და 10 აგვისტოს შეკრებასაც დაიწყებს:

„გუნდის ხელმძღვანელობა ხვალ შეიკრიბება და საბოლოოდ გაირკვევა ჩვენი გუნდის მომავალი. პრინციპში, თითქმის ყველაფერი გადაწყვეტილია, უბრალოდ, ხვალ ფინანსური დეტალები დაზუსტდება. დაფინანსება ბოლო სეზონზე ნაკლები არ გვექნება. მოსალოდნელია, ხელფასები გავვიზარდონ კიდეც. წინასწარ მყავს შეგულებული ის მოთამაშეები, რომელთაგანაც გუნდს დავაკომპლექტებ. ისე, აქ საჩქარო არაფერია — „დინამომ“ უკვე აიყვანა, ვინც უნდოდა, „ბასკო“ კი ჯერაც ყოფნა-არყოფნის ზღვარზეა და უგუნდოდ კიდევ ბევრი ძლიერი კალათბურთელია. ხვალიდან მოთამაშეებთან უშუალოდ პირობებზე დავიწყებთ მოლაპარაკებას და აგვისტოს დასაწყისში გუნდი დაკომპლექტებული იქნება. 10 აგვისტოს შეკრებას დავიწყებთ და სირიის საერთაშორისო ტურნირისთვის მოვემზადებით. როგორც გავიგე, გუნდები ძირითადად აზიის ქვეყნებიდან იქნებიან, ხოლო კონკრეტულად რომელი, ჯერ არ ვიცი.“

შეგახსენებთ, რომ „სტუ-ჯეოსელიდან“ „დინამოში“ ახლახან სამი მოთამაშე გიორგი ნიკოლაძე, შიო ხეცურიანი და ზვიად ბაბიაშვილი გადავიდა. დანარჩენებს კი კონტრაქტი ამოეწურათ და იმ შემთხვევაში დარჩებიან სტუ-ში, თუ ამას გუნდის ხელმძღვანელობა გადაწყვეტს.

**ირაკლი პერტაია**

# ტაქსისტი

## მანუტე ბოლი სიკვდილს გადაურჩა

**გუშინწინ** ამერიკის ტრანსპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაცხადა, რომ აწ გარდაცვლილი ტაქსის მძღოლი ნევილ რობინსონი, ვინაც 30 ივნისის საბედისწერო საღამოს მანუტე ბოლს ემსახურებოდა, უვარგისი მართვის მოწმობით უჯდა საჭეს.

30 ივნისს ნბა-ს ყველა დროის უმაღლესმა კალათბურთელმა, 231-სანტიმეტრიანმა მანუტე ბოლმა კონექტიკუტის შტატის ქალაქ მოჰიგანში ტაქსი გააჩერა, კოლჩესტერში წამიყვანეო. მძღოლი გახლდათ 48 წლის ნევილ რობინსონი, რომელსაც, როგორც ახლა ირკვევა, გამოუსადეგარი მართვის მოწმობა ედო ჯიბეში. რობინსონი 22 მაისს დაუჯარიმებიათ საჭის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვისთვის და მას 19 სექტემბრამდე აკრძალული ჰქონდა მანქანის მართვა. მაგრამ რატომღაც ეს ფაქტი მიჩქმალული ყოფილა და სანამ საქმე ტრანსპორტის დეპარტამენტის საგამოძიებო სამსახურამდე არ მივიდა, რობინსონი კეთილსინდისიერ მძღოლად მიიჩნეოდა.

...ჰოდა, ბოლმა, კოლჩესტერში წამიყვანეო, და გაფრინდა ტაქსი. თურმე ისე მიქროდა, ვერ გაარჩევდი, ტაქსის ყვითელი მანქანა იყო თუ ლაჟღაჟა „ფერარი“. როგორც ბოლი ამბობს, მას არაერთხელ უთხოვია მძღოლისთვის, ცოტა შეანელეო, მაგრამ რობინსონზე თხოვნამ არ გაჭრა. კოლჩესტერთან მანქანა დამცავ ზღუდეს შეეჯახა და მერე გზისპირა კლდეს მიენარცხა. რობინსონი ადგილზე გარდაიცვალა, უშველებელი ბოლი კი რაღაცნაირად გადმოვარდნილა მანქანიდან და თავ-პირი დაულეწავს. კონკრეტულად კი მანუტეს მარცხენა მენჯის ძვალი, მარჯვენა მუხლი და ხერხემლის 2 მალა დაუზიანდა და დღემდე ჰარტფორდის ჰოსპიტალში წევს.

ჰარტფორდის ტაქსების ფარეხის შეფი მარკო ჰენრი კი აცხადებს, რობინსონს საბუთები წესრიგში ჰქონდა, მანქანის მართვა რომ აეკრძალათ, საჭეს გავაკარებდიო? ასეა თუ ისე, რობინსონი დაღუპულია, ბოლი კი ჯერაც საავადმყოფოშია და კიდევ კარგა ხანი დასჭირდება სარეაბილიტაციოდ.

ბოლი 1985 წლის დრაფტის მეორე რაუნდში აირჩია „ვაშინგტონ ბულიტსმა“ და 10-წლიან კარიერაში ის 4,2 მოხსნასა და 2,6 ქულას აგროვებდა საშუალოდ. ბოლი დღემდე რჩება ნბა-ს საუკეთესო დამფარებლად სათამაშო დროს ხანგრძლივობასთან შეფარდებით. ის დაიბადა სუდანის სამხრეთში მდებარე სოფელ ტურალიში, სადაც მსოფლიოში უმაღლესი ხალხი დინკები სახლობენ.

**ირაკლი პერტაია**



ყველაზე დაბალი და ყველაზე მაღალი: მაქსი ბოქსი და მანუტე ბოლი

# ზღაპრული ზაფხული
## ლინდსი ოცნებებს იხდენს

**MERCEDES-BENZ CUP**
ლოს ანჯელესი. ჰარდი
საპრიზო 380 ათასი $

**ფინალი**
**ლინდსი დევენპორტი (3, აშშ) — სერენა უილიამსი (1, აშშ) 6:1, 6:3**

ლინდსი დევენპორტი წლეულს ჩოგნის ჩამოკიდებას აპირებს და ამის გამოისობით ისეთი დამშვიდებული და რელაქსირებულია, რაც კი ბოლო წლებში აუხდენელ ოცნებებად ქცეოდა, ახლა ყველაფრის ახდენას ახერხებს.

ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ვინუს და სერენა უილიამსები ასე გემრიელად მას 2000 წლის შემდეგ აღარ ებერტყა. ეს სწორედ ის პერიოდი იყო, როცა მამა რიჩის გოგონებმა ქალთა ამქარს ოჯახური აზლუდი ამოსდეს და უმთავრესი ტიტულები თუ უმეტესი თანხებიც სწორედ შიდაოჯახურ გარჩევათა საგნად გაიხადეს.

მაგრამ შარშანდელ ზაფხულში გადატანილ ოპერაციათა შემდეგ უილიამსდებს რამსები აერიათ, ბედად ახლა კლაისტერს-ენენის ბელგიური სუპერწყვილიც უქმობს და 28 ლინდსისაც ჩოგანს ველარავინ უშლის, პენსიაზე გასვლის წინ ერთი ბარაქიანად რომ შეუბეროს.

ჰოდა, ისიც უბერავს. ერთი კვირის წინ სტენფორდულ ფინალში ვინუს უილიამსს რომ უდაძაბულესი სამსეტიანი შეხლის შედეგად აჯობა, ლოსანჯელესობის ნახევარფინალში იმავ ვინუსს — ამ უკანასკნელის მაჯამტკივანობის გამო — უკვე სულაც მატჩმოუმთავრებლადაც მოერია. ეს მათი 24-ე დაპირისპირება იყო და ლინდსის შეუძლია იამაყოს, რომ ერთ უილიამსდასთან მაინც ანგარიში უკვე გასწორებული აქვს — 12:12.

მართალია, სერენა მას ამკვირანდელი მარცხის მერეც 9:3 უგებს, მაგრამ ახლა მთავარი სულ სხვაა. კერძოდ ის, რომ ლინდსიმ ვინუსის უმცროსი დაიკო პირველი გათამაშებიდანვე ჩოქბჯენში გადაიყვანა და იმდენი უგლაჯუნა, რამდენიც იმას ორი კვირის წინ რუსის ქალისგან არ მოხვედრია (უიმბლდონობის ფინალში).

სერენა მერე კი იძახდა, წლეულს ეს უკვე მეორეჯე გავიკეთე ხარაკირიო, მაგრამ აქ თვითმკვლელობაზე მეტად მაინც უფრო განზრახ გაიმასქნებასთან გვქონდა საქმე, რაიც ლინდსის ისევე რიგიანად გამოუვიდა, მისთვის საზეო 1998 წლებში რომ გამოსდიოდა.

სხვათა შორის, კალიფორნიული ტურნირები ლინდსიმ ზედიზედ უკანასკნელად სწორედ იმ სეზონში მოიგო — სტენფორდულსა და ლოსანჯელესურს მერე კარლსბადურიც გადააბა და ყველაფერი იმით მოაბოლოვა, რომ აშშ-ის ღია პირველობაზეც იმარჯვა და წელი ქალთა რეიტინგსიის სათავეშიც გაასრულა.

ასე რომ ამ კვირაში ის თავის მეორე „კალიფორნიულ ჰეთთრიქზე“ გაიქაჩება.

სხვაფრივ — ეს მისი მეოთხე ჯიპიმორგანული ტიტული გახლდათ. ამ ტურნირზე ის 1996 წლიდან მოყოლებული (1999 წლის გამოკლებით) ნიადაგ ფინალამდე მაინც აღწევდა, რაც არ უნდა გაგვიკვირდეს, რაკილა ის ამ კორტებიდან 9-10 კილომეტრის მანძილზეა დაბადებული და ჩოგანსაც იქ უკვე 5-6 წლისა აქნევდა.

სადღაც იქვე, კომპტონში დაბადებულ-დაჩოგნებულან მამა რიჩის სახელოვანი გოგოცუნებიც და ლინდსის ამ გამარჯვებას ეს გარემოება კიდევ უფრო მეტ სიტკბოებას ანიჭებს.

წლის მეოთხე, ხოლო კარიერის 41-ე ტიტულთან ერთად ლინდსის გამარჯვებულისთვის დათქმული 93 ათასი დოლარიც ერგო.

დღეიდან კი ყველანი მასთან ერთად კარლსბადში მივდივართ.






ლინდსი დევენპორტს წინ ვერც სერენა უდგას და ვერც ვერავინ

**GENERALI OPEN KITZBUHEL**
კიცბიუელი. თიხნარი
საპრიზო 800 ათასი €

**ფინალი**
**ნიკოლას მასუ (3, ჩილე) — გასტონ გაუდიო (2, არგენტინა) 7:6 (7:3), 6:4**

გასტონ გაუდიო ზედიზედ მეოთხე ფინალში თამაშობდა და ზედიზედ მესამეჯერ იძლია. როლანგაროსობის მოგების შემდეგ მან ჯერ ბასტადურ ფინალში ითამაშა, ხოლო კიცბიუელში ჩასვლამდე შტუტგარტულშიც — ერთგანაც და მეორეგანაც მას თვისტომებმა, შესაბამისად, მარიანო საბალეტამ და გილერმო კანიასმა აჯობეს. ავსტრიაში კი სატიტულედ შებმა მას თანაკონტინენტელ მასუსთან მოუხდა, მაგრამ დიდი შეღავათი გაუდიოსთვის არც ეს გამოდგა. რეიტინგსიის მეცამეტე საფეხურზე მდგომმა ჩილელმა უფრო ბასრად იჩოგნავა და წლის პირველი, ხოლო კარიერის მეოთხე ტიტული სავსებით დამსახურებულად მიითვალა.

**RCA CHAMPIONSHIPS**
ინდიანაპოლისი. ჰარდი
საპრიზო 600 ათასი $

**ფინალი**
**ენდი როდიკი (1, აშშ) — ნიკოლას კიფერი (12, გერმანია) 6:2, 6:3**

ენდი როდიკმა ძალიან იოლად მოახერხა, შარშან იქვე ნაშოვნი ტიტული რომ შეენარჩუნებინა და პიტ სამპრასის შემდეგ (1991-92 წლები) ამის გამკეთებელი პირველი მეჩოგნე გამხდარიყო. ნიკოლას კიფერმა, ვინაც წლეულს უკვე მეოთხე (და თანაც ამერიკულ) ფინალში დამარცხდა, მისი ხათქუნა მოწოდებისა და მძლავრი ნაუკანახაზევი ბათქა-ბუთქის საწინაალმდეგოდ ვერაფერი მოიძია და დიდხანს არ გასძალიანებია.

ეს იყო როდიკის მე-15 [illegible] კარიერო და მეოთხე საამსეზონო ტიტული. ეგებ თქვენც გახსოვდეთ — წლეულს მან [illegible] ხოსეში, მაიამისა და ლონდონში, ქუინზკლ[illegible].

სხვათა შორის, ენდიბოიმ შარშან სწორედ ინდიანაპოლისური ტურნირის მოგებით დაიწყო აშშ-ის ღია პირველობის მოგებისაკენ აღმავალი რთული გზა, რის გამეორებასაც მას წლეულს ათენის ოლიმპიადაზე გაბუქნავების სურვილიც გაურთულებს.

კიფერმა კი ინდიანაპოლისამდე სკოტსდეილურ, მემფისურ და ლოსანჯელესურ ფინალებში დათმო. რაგინდარა ტიტული მას 2000 წლის ჰონგკონგობის გადამწყვეტ შეხლაში მარკ ფილიპუსისის ძლევის შემდეგ ველარ მოურეწავს.

**ხორვატიის ღია პირველობა**
უმაგი. თიხნარი
საპრიზო 395 ათასი €

**ფინალი**
**გილერმო კანიასი (6, არგენტინა) — ფილიპო ვოლანდრი (4, იტალია) 7:5, 6:3**

აუცილებლად უნდა ითქვას, რომ წლეულს არც ერთ სათიხნარო კვირას არ ჩაუვლია ისე, რომელსამე ფინალში არგენტინელ მეჩოგნეს რომ არ ეპაექრა. ისინი ამა თუ იმ ტიტულის ბედს ან ერთმანეთში წყვეტდნენ, როგორც ეს როლანგაროსზე, ბასტადსა თუ შტუტგარტში მოხდა, ანაც სხვებს ედავებოდნენ. გამონაკლისი არც ეს კვირა გამოდგა და კიცბიუელის გარდა, არგენტინელმა კაცმა ჩოგანი უმაგურ ფინალშიც აქნია. თავადაც ხედავთ — უფრო წარმატებულადაც.

26 წლის გილერმო კანიასმა წინა კვირას რომ შტუტგარტულ ფინალში გასტონ გაუდიოს აჯობა, მერე ხორვატიაში გადაინაცვლა და ერთკვირიანი ასევე დამაჯერებელი ბურთაობის შედეგად წლის მეორე, ხოლო კარიერის მეხუთე ტიტული ირგუნა.

ფილიპო ვოლანდრი კი უკვე ზედიზედ მეორედ იძლია უმაგური ტურნირის გადამწყვეტ მატჩში — შარშან მას კარლოს მოია გაუსწორდა.

**ლევან ბელაურაძე**



**დორტმუნდის სუპერტურნირი**
გერმანია. დორტმუნდი. 22 ივლისი — 1 აგვისტო

IV ტური

I ჯგუფი: სერგეი რუბლიოვსკი (რუსეთი) — პეტერ სვიდლერი (რუსეთი) 0:5:0,5 არკადი ნაიდიჩი (გერმანია) — ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) 0,5:0,5

II ჯგუფი: სერგეი კარიაკინი (უკრაინა) — ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) 0,5:0,5. ვიორელ ბოლოგანი (მოლდოვა) — პეტერ ლეკო (უნგრეთი) 0,5:0,5

# სკოლის მოსწავლემ მსოფლიოს ჩემპიონს დედოფალი მოსტაცა



სერგეი კარიაკინს სულ ცოტა დააკლდა ვლადიმირ კრამნიკის დამამათებამდე

**დორტმუნდში** ახალგაზრდა დიდოსტატებმა გაიბრწყინეს. მეოთხე ტურში 14 წლის უკრაინელ სერგეი კარიაკინს ჩინებული შანსი მიეცა, კლასიკური ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი ვლადიმერ კრამნიკი დაემარცხებინა, თუმც ჯერ კიდევ გამოუცდელმა ყმაწვილმა ბოლომდე ვერ გაიტანა თავისი და დასანანი ნახევარი ქულა დაკარგა. პარტია კი საკმაოდ დიდხანს, შვიდი საათი გაიწელა.

მეტოქეებმა დებიუტში სიცილიური დაცვა გაითამაშეს, მესამე სვლაზე თითო პაიკი აწაპნეს ერთმანეთს და შეტევისთვის მზადებას შეუდგნენ. პირველი წინ ახალგაზრდა კარიაკინი გაიჭრა, მეფის მხრიდან პაიკებით შავებს მეექვსე ხაზამდე მიუცუცქდა და 23-ე სვლაზე ლაზიერი f6 უჯრაზე ჩაუსვა. „თავზედის“ მოსაგერიებლად კრამნიკმა მძიმე ტექნიკა დაქოქა და გაცვლები დაიწყო. კარგად და გონივრულად ირჯებოდა ყმაწვილი სერგეი, უკრაინელმა 35-ე სვლაზე საკუთარი ეტლი მეტოქის პაიკს შეაკლა, თუმც ამ შეწირვით სტრატეგიულად მოგებული დარჩა და ზარალი ორ სვლაში აინაზღაურა. კარიაკინმა უპირატესობა მალე გაზარდა და ხუთიოდ სვლაში რუსი ლაზიერის გარეშე დატოვა, თუმც მასთან ერთად მოსაფიქრებელი დროც შეუმცირდა და ცაიტნოტში აღმოჩნდა.

მეტოქეები პაიკების გაყვანას შეუდგნენ, კრამნიკის g ხაზზე მოძრავ პაიკს წინ არავითარი ფიგურა არ ედგა და თეთრების გამსვლელებს საკმაოდ გადაუსწრო. კარიაკინი დროებით შეეშვა საკუთარი პაიკების გაყვანას და ლაზიერით მოიერიშე პაიკს g2 უჯრაზე წინ გადაუდგა. ჭკვიანურად და ზუსტად თამაშობდა ახალგაზრდა დიდოსტატი, თუმც ეტყობოდა, რომ გამოცდილება აკლდა, თამაშის მიწურულისკენ კლასიკური ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონმა, მიუხედავად იმისა, რომ დიდი უპირატესობით აგებდა, თამაშის შემოტრიალება შეძლო. 86-ე სვლაზე g ხაზის პაიკი ლაზიერად აქცია და ყაიმს გამოჰკრა ხელი. წლეულის დორტმუნდის სუპერტურნირზე გამართული შეხვედრებიდან ეს პარტია სპეციალისტებმა საუკეთესოდ დაასახელეს.

მეორე ახალგაზრდამ, მასპინძელთა ერთადერთმა იმედმა, 18 წლის არკადი ნაიდიჩმა კი მსოფლიოს რეიტინგის მეორე ნომერ ვიშვანათან ანანდთან იყოჩაღა, გერმანელი ინდუსს ტოლ-სწორად ეპაექრა და 45-ე სვლაზე ძვირფასი ქულა გააყოფინა.

**ლაშა გეგეჭკორი**

| I ჯგუფი | |
|---|---|
| ანანდი | 2,5 ქულა |
| რუბლიოვსკი | 2,0 |
| სვიდლერი | 2,0 |
| ნაიდიჩი | 1 |

| II ჯგუფი | |
|---|---|
| კრამნიკი | 2,0 |
| ლეკო | 2,0 |
| კარიაკინი | 2,0 |
| ბოლოგანი | 2,0 |



52-ე სვლაზე თეთრი ლაზიერი შავ პაიკს წინ გადაუდგა

## ტურ დე ფრანსი

# შეუყვარებული

## ლენს არმსტრონგი: დიდი კაცი დიდ გზაზე




ესეც მეექვსე! რეკორდი არმსტრონგისაა

### ლენს ამსტრონგი (აშშ)

დაიბადა 1971 წლის 18 სექტემბერს ტეხასის შტატის ქალაქ ოსტინში

1989 წელს გამოდიოდა მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე

1991 წელს გახდა ამერიკის ჩემპიონი

1992: ბარსელონას ოლიმპიადაზე ინდივიდუალურ საგზატკეცილო რბოლაში იყო მე-14. გახდა პროფესიონალი

1993: პირველად ირბოლა ტურ დე ფრანსზე. მოიგო ერთი ეტაპი. მოიგო ერთი მილიონი დოლარის გვირგვინი აშშ-ში და მსფოლიოს ჩემპიონატი ოსლოში

1995: მოიგო ტურ დე ფრანსის მე-18 ეტაპი, რომელიც მიუძღვნა მაშინ რბოლის დროს დაცემულ და შემდეგ დაღუპულ თანაგუნდელს ფაბიო კასარტელის. მოიგო „სან სებასტიან კლასიკი"

1996: ბარსელონას ოლიმპიადაზე გზატკეცილზე მე-12, ხოლო ინდივიდუალურ რბოლაში მეექვსე იყო. დაუდგინეს სათესლე ჯირკვლის კიბო და მისი გადარჩენის შანსი 50/50 შეაფასეს. გამოჯანმრთელდა და რბოლასაც დაუბრუნდა

1999: პირველად მოიგო ტურ დე ფრანსი

2000: აჯობა ტურ დე ფრანსის ორ ჩემპიონს იან ულრიხს და მარკო პანტანის და მეორედ გახდა ჩემპიონი

2001: კვლავ იმარჯვა და გახდა მეხუთე მრბოლი, რომელმაც საფრანგეთში ზედიზედ სამჯერ იჩემპიონა

2002: ისევ იგებს ტურ დე ფრანსს

2003: ზედიზედ მეხუთედ გაასწრო ყველას და გაიმეორა ესპანელი მიგელ ინდურაინის რეკორდი (1991-95). ამ ორის გარდა ტურზე ხუთჯერ მოუგიათ ფრანგ ჟაკ ანკეტილს, ბელგიელ ედი მერქსსა და ფრანგ ბერნარ ინოს

2004: ტურ დე ფრანსის ისტორიაში გახდა პირველი ექვსგზის ჩემპიონი

„ველოსიპედის ტარება ყველაზე სასიამოვნო რამაა ცხოვრებაში". ნუ მიაწერთ ამ სიტყვებს ვინმე თინეიჯერს, რომელსაც მამამ დიდი ხნის ნანატრი ველოსიპედი უყიდა და ისიც სიხარულით დააგელვებს ქუჩებში. ეს ლენს არმსტრონმა, ჩვენი დროის და იქნებ ყველა დროის უძლიერესმა ველომრბოლმა თქვა შარშან, როცა მსოფლიოს უპრესტიჟულესი საგზატკეცილო ველოტური ტურ დე ფრანსი ზედიზედ მეხუთედ მოიგო და დიადი მიგელ ინდურაინის რეკორდს გაუსწორდა.

გუშინწინ კი არმსტრონგს პარიზში, ელისეს მინდვრებზე, ტრიუმფალური თაღის ქვეშ ზღვა ხალხი მეექვსე გამარჯვებას ულოცავდა. ეს უკვე აბსოლუტური რეკორდია.

„ველოსიპედით შეჯიბრება კვლავაც უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს. მიჭირს, ამის ახსნა, მაგრამ ეს ასეა. მე არ გამოვდივარ ტურზე ისტორიაში ჩაწერის ან ფულის შოვნის სურვილით. მე მსიამოვნებს 200 ჩემნაირთან ერთად კილომეტრების დაფარვა, მთების სხვებზე ჩქარა გადავლა და სხვებთან შეჯიბრების მოტივაციას მგონი არასდროს დავკარგავ."

ის კარგა ხანია აღიარეს ძველმა მრბოლებმა, მათ, ვის რეკორდებსაც უტევდა არმსტრონგი და დაამხო კიდევაც. და ახლებიც იძულებით ურიგდებიან იმ აზრს, რომ მას ვერ აჯობებენ.

კი მაგრამ როდის უნდა დამთავრდეს საფრანგეთის გზებზე ამერიკელის დიქტატურა? ლენს არმსტრონგი უკვე 32 წლისა მოყრილა და ადრე თუ გვიან სხვა გზას იპოვის, მაგრამ ამაზე ქვემოთ...

„პირველი ყველაფერი დიდებულია. ჩემი პირველი სიყვარული კი ველოსიპედი იყო. ხუთი მეგობარი ვიყავით და ყველას ახალი ველოები გვყავდა. დავთქვამდით ფინიშს, ვთქვათ ქუჩის ბოლომდე და ვეჯიბრებოდით ერთმანეთს. დღემდე იმ განცდებში ვარ. მეგობრის ჯობნა ყველაფერზე ძლიერ გსურს, მთელი ძალით ატრიალებ პედლებს და ერთი სული გაქვს, გაასწრო. ტურ დე ფრანსზე პირველ გამარჯვებას ვერაფერს შევადრი, ეს მოულოდნელი და დიდებული იყო. ჩემს გამარჯვებას ბევრი არ ელოდა, რაკი მანამდე მძიმე დაავადება გადავიტანე. კი კარგ მრბოლად ვითვლებოდი, მაგრამ გამარჯვება ტურზე? წამით წარმოიდგინეთ, მე უცებ ტურ დე ფრანსი მოვიგე..."

მაგრამ ტურ დე ფრანსს უცებ ვერ იგებენ. აქ შემთხვევითობა გამორიცხულია — სამ კვირაში გასავლელია 3500 კილომეტრი, რაც ყოველ დღე თითქმის 200 კილომეტრს ნიშნავს და ზოგჯერ მეტსაც. როცა 200-კაციანი პელოტონი ვაკეზე მიგორავს, აქ ძნელი არაფერია. მრბოლები ქარავნის წვერში ერთმანეთს ენაცვლებიან, რიგრიგობით აპობენ ჰაერს და სამუშაოს ინაწილებენ. მაგრამ სულ სხვაა მთები — ძლიერი და სუსტი უსწორმასწორო რელიეფზე გამოჩნდება. ძლიერები წინ გარბიან, სხვებს კი 100 კილომეტრის ვაკეზე გავლის შემდეგ გამოდევნების თავი აღარ აქვთ. თანამშრომლობა და ვინმეს, ვთქვათ, თანაგუნდელის შეამხანაგება მთაშიც შეიძლება, მაგრამ ხშირად სრულიად მარტო რჩები აღმართისა და საკუთარი დაღლილობის წინაშე, ეს წყეული გზა კი არა და არ მთავრდება. რამდენიმე კილომეტრის გავლის შემდეგ 400 მეტრი სიმაღლიდან დაძრული იქნებ ზღვის დონიდან 2000 მეტრზე ალპური მდელოების ზონაში აღმოჩნდე. ზოგ უღელტეხილზე ასული ხვდები, რომ გზიდან სულ ორიოდ საათის წინ აულიათ ნახევარი მეტრი თოვლი. წნევისგან დარეტიანებულს ჰაერიც კი არ დაგხვდება იმდენი, სული რომ მოითქვა და ფიქრობ, რომ არაფრად ვარგიხარ. ეს უკვე აღარაა ქუჩაში ველოებით ქროლვა და ტროტუარზე ბებიების დაფეთება. ეს ნამდვილი ბრძოლაა სტიქიასთან და „მესთან". მეორე დღეს კი თავიდან უნდა შეუყვე ფერდობს... ზეგ კიდევ 180 კილომეტრია გასავლელი...

ლენს არმსტრონგი კი მუდამ იმარჯვებს. წელს მან თითქმის ყველა ძნელი ეტაპი მოიგო. ხუთჯერ მივიდა პირველი ფინიშთან. აქედან სამი კლასიკური სამთო ეტაპი იყო, ერთი პირინეებში, ორიც ალპებში. ხოლო ორი ინდივიდუალური რბოლა გახლდათ, ერთი, მოკლე მთებში, მეორე, გრძელი კი ვაკეზე, სადაც ასევე მარტო ფარავ კილომეტრებს.

არმსტრონგს მუდამ სთხოვდნენ გამარჯვების რეცეპტს. ისიც პასუხობდა — „მე ვფიქრობ... არა, მე დარწმუნებული ვარ, რომ გამარჯვება ნიჭის და შრომის ნაზავია. ბევრი მეკითხება, როგორ ახერხებო. კარგი კითხვაა. პასუხი კი არის — შრომაა. რატომ არ მეკითხებით, რას ვაკეთებ შობა დღეს, ან პირველ იანვარს? მე ველოსიპედით დავდივარ. თქვენ გგონიათ, ტურ დე ფრანსის დაწყებამდე ექვსი კვირით ადრე 10 კილო მაქვს მომატებული?"

მაგრამ ოდესღაც ხომ უნდა დამთავრდეს მისი მარათონი. ბოლოს და ბოლოს, ასაკი თასისას იზამს. პასუხიც აქაა. „მე მინდა ბავშვებს ვეთამაშო, უფროსი უკვე ხუთი წლისაა... ტურზე კი ჩემი მიზანი მხოლოდ გამარჯვებაა. საფრანგეთში მე მხოლოდ ამისთვის ჩამოვიდივარ და თუ თავს შევატყვე, რომ ამას ვერ მოვახერხებ, აღარ ჩამოვალ."

ლენს არმსტრონგს შეუძლია, თავს წასვლის უფლება მისცეს. იგი უბრალოდ ხალხს სთხოვს, აცადონ.

მაშ, მომავალ ტურამდე.

**ირაკლი ფირაშვილი**

### ყველა გამარჯვებული

1903 მორის გარინი (საფრანგეთი)
1904 ანრი კორნე (საფრანგეთი)
1905 ლუის ტრუსელიე (საფრანგეთი)
1906 რენე პოტიე (საფრანგეთი)
1907 ლუსიენ პეტი (საფრანგეთი)
1908 ლუსიენ პეტი
1909 ფრანკოს ფაბიერი (ლუქსებურგი)
1910 ოსტავ ლაპიზი (საფრანგეთი)
1911 გუსტავ გარიგო (საფრანგეთი)
1912 ოდილ დეფრაიე (ბელგია)
1913 ფილიპე ტიისი (ბელგია)
1914 ფილიპე ტიისი
1915-18 არ გაიმართა
1919 ფირმინ ლამბო (ბელგია)
1920 ფილიპე ტიისი
1921 ლეონ სიური (ბელგია)
1922 ფილიპე ლამბო
1923 ანრი პელისიე (საფრანგეთი)
1924 ოტავია ბოტეჩია (იტალია)
1925 ოტავია ბოტეჩია
1926 ლუსიენ ბუისი (ბელგია)
1927 ნიკოლას ფრანცი (ლუქსებურგი)
1928 ნიკოლას ფრანცი
1929 მორის დევალი (ბელგია)
1930 ანდრე ლედუკი (საფრანგეთი)
1931 ანტონინ მანი (საფრანგეთი)
1932 ანდრე ლედუკი
1933 ჟორჟ სპიშიე (საფრანგეთი)
1934 ანტონინ მანი
1935 რომან მაესი (ბელგია)
1936 სილვერ მაესი (ბელგია)
1937 როჟერ ლაპები (საფრანგეთი)
1938 ჯინო ბარტალი (იტალია)
1939 სილვერ მაესი
1940-46 არ გაიმართა
1947 ჟან რობიჩი (საფრანგეთი)
1948 ჯინო ბარტალი
1949 ფაუსტო კოპი (იტალია)
1950 ფერდი კუბლერი (შვეიცარია)
1951 ჰუგო კობლეტი (შვეიცარია)
1952 ფაუსტო კოპი
1953 ლუისონ ბობე (საფრანგეთი)
1954 ლუისონ ბობე
1955 ლუისონ ბობე
1956 როჟერ ვალკოვიაკი (საფრანგეთი)
1957 ჟაკ ანკეტილი (საფრანგეთი)
1958 შარლი გაული (ლუქსებურგი)
1959 ფედერიკო ბაჰამონტესი (ესპანეთი)
1960 გასტონ ნენჩინი (იტალია)
1961 ჟაკ ანკეტილი
1962 ჟაკ ანკეტილი
1963 ჟაკ ანკეტილი
1964 ჟაკ ანკეტილი
1965 ფელიჩე ჯიმონდი (იტალია)
1966 ლუსიენ აიმარი (საფრანგეთი)
1967 როჟერ პინიონი (საფრანგეთი)
1968 იან იანსენი (ჰოლანდია)
1969 ედი მერქსი (ბელგია)
1970 ედი მერქსი
1971 ედი მერქსი
1972 ედი მერქსი
1973 ლუის ოსანა (ესპანეთი)
1974 ედი მერქსი
1975 ბერნან ტევენე (საფრანგეთი)
1976 ლუსიენ ვან იმპე (ბელგია)
1977 ბერნან ტევენე
1978 ბერნან ინო (საფრანგეთი)
1979 ბერნან ინო
1980 იოოფ ზოტემელკი (ჰოლანდია)
1981 ბერნან ინო
1982 ბერნან ინო
1983 ლორენ ფინო (საფრანგეთი)
1984 ლორენ ფინო
1985 ბერნან ინო
1986 გრეგ ლემონდი (აშშ)
1987 სტივენ როში (ირლანდია)
1988 პედრო დელგადო (ესპანეთი)
1989 გრეგ ლემონდი
1990 გრეგ ლემონდი
1991 მიგელ ინდურაინი (ესპანეთი)
1992 მიგელ ინდურაინი
1993 მიგელ ინდურაინი
1994 მიგელ ინდურაინი
1995 მიგელ ინდურაინი
1996 ბიარნე რიისი (დანია)
1997 იან ულრიხი (გერმანია)
1998 მარკო პანტანი (იტალია)
1999 ლენს არმსტრონგი (აშშ)
2000 ლენს არმსტრონგი
2001 ლენს არმსტრონგი
2002 ლენს არმსტრონგი
2003 ლენს არმსტრონგი
2004 ლენს არმსტრონგი



მაყურებელთა ბრბო ყოველთვის სიმპატიურად როდია განწყობილი ლენს არმსტრონგის მიმართ

## მსოფლიოს ჩემპიონატი. მეცხრე ეტაპი

# ჩემპიონი იგებს, მაგრამ მაინც უჭირს



REUTERS

ვალენტინო როსიმ წლეულს მეხუთე დიდი პრიზი მოიგო

**დიდი ბრიტანეთის** დიდი პრიზის გათამაშებაში მოულოდნელობა არ მომხდარა. სამივე კლასში გაიმარჯვა წინა დღეს კვალიფიკაციის მომგებმა, თანაც სწორედ ეს სამეული ლიდერობს საერთო ჩათვლაშიც.

პირველობა სამ ჯგუფში კი ტარდება, მაგრამ გამორჩეული ყურადღება, ცხადია, მოტო გრანპრის, ანუ „სამეფო კლასისკენაა", რომელშიც ყველაზე მძლავრძრავიანი მოტოციკლებით ჯირითობენ. მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ვალენტინო როსი შარშან „ჰონდათი" ტრიუმფის შემდეგ შედარებით სუსტ „იამაჰაზე" გადაჯდა და, როგორც მოსალოდნელი იყო, ეს სეზონი მისთვის გაცილებით რთული გამოდგა.

მართალია, იტალიელმა სუპერჩემპიონმა კვირას დონინგტონ პარკის ავტოდრომზე მორიგი დიდი პრიზი მოიპოვა და ქულათა მარაგიც გაიმყარა, მაგრამ მაინც სად შარშანდელი უზარმაზარი უპირატესობა მეტოქეებზე და სად ახლანდელი — უახლოესი მდევრები სეტე გიბერნო და მაქს ბიაჯი „ერთი მოგების მანძილზე" მიჰყვებიან. შეგახსენებთ, მოტოეტაპის მოგება 25 ქულად ფასობს, ჩათვლას კი 15 მრბოლი ილებს.

სტარტზე ვალენტინო ყველაზე წინ კი იდგა, მაგრამ დასაწყისშივე აუარეს გვერდი თანამემამულე ლორის კაპიროსიმ („დუკატი") და ჰონდიანმა გიბერნომ. თითქოს დაძაბული ბრძოლა იყო მოსალოდნელი, მაგრამ უკვე მეორე წრეზე ჩემპიონმა ლიდერობა დაიბრუნა და 120-კილომეტრიანი დისტანციის ბოლომდე არავის მისცა წამოწევის საშუალება. ეს 25 წლის იტალიელის 38-ე გამარჯვებაა 73 „სამეფო" ეტაპზე.

იყოჩაღა ამერიკელმა კოლინ ედვარდსმა, მეხუთე წრეზე შეძლო თანაგუნდელ გიბერნოს გასწრება და ფინიშამდე შეინარჩუნა მეორე პოზიციაა, რაც 30 წლის ჰიუსტონელის პირველი პოდიუმია.

მეათე ეტაპი ოთხკვირიანი საშვებულებო შესვენების შემდეგ ჩეხეთში შედგება.

### დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზი. დონინგტონი — 4023 მ

**მოტო გრან პრი — 120,69კმ**

1 ვალენტინო როსი (იტალია, გალუაზ იამაჰა) — 45 წთ; 39,5
2 კოლინ ედვარდსი (აშშ, ტელეფონიკა ჰონდა) — ჩამორჩა 2,9
3 სეტე გიბერნო (ესპანეთი, ტელეფონიკა ჰონდა) — 4,4

**საერთო ჩათვლა**

1 როსი 164 ქულა; 2 გიბერნო 142; 3 მაქს ბიაჯი (იტალია, ქემელ ჰონდა) 142; 4 ედვარდსი 95; 5 ალექს ბარუში (ბრაზილია, რეპსოლ ჰონდა) 86

**250 სმ³ — 108,62კმ**

1 დანიელ პედროსა (ესპანეთი, ტელეფონიკა ჰონდა) — 42 წთ; 17,7
2 სებასტიან პორტო (არგენტინა, რეპსოლ აპრილია) — 6,0
3 რენდი დე პიუნე (საფრანგეთი, კარერა აპრილია) — 11,5

**საერთო ჩათვლა**

1 პედროსა 180 ქულა; 2 დე პიუნე 146; 3 პორტო 128; 4 ალფონსო ნიეტო (ესპანეთი, რეპსოლ აპრილია) 94; 5 ალექს დე ანჯელისი (სან მარინო, აპრილია რეისინგი) 93

**125 სმ³ — 100,57კმ**

1 ანდრეა დოვიზიოსო (იტალია, კოპრონ ჰონდა) — 41 წთ; 14,6
2 ალვარო ბატისტა (ესპანეთი, სიიდორფ აპრილია) — 3,8
3 ხორხე ლორენცო (ესპანეთი, კახა მადრიდ დერბი) — 8,2

**საერთო ჩათვლა**

1 დოვიზიოსო 163 ქულა; 2 რობერტო ლოკატელი (იტალია, კარერა აპრილია) 131; 3 ექტორ ბარბერა (ესპანეთი, სიიდორფ აპრილია) 129; 4 კეისი სტოუნერი (ავსტრალია, KTM) 104; 5 პაბლო ნიეტო (ესპანეთი, რეპსოლ აპრილია) 88






ირაკლი ლაბაძემ ტორონტოს მასტერსტურნირი ჩეხ იან ჰერნიჰთან 1:6 4:6 წაგებით დაიწყო და დაასრულა



**შვედეთი**

ალსვენსკა. XIII ტური

ჰელსინგბორგი 3:0 აიკ
გიოტებორგი 1:1 ლანდსკრონა

**ნორვეგია**

ტიპელიგა. XV ტური

ვოლერენგა 1:2 ლინი

**ისლანდია**

პრემიერდივიზიონი XII ტური

ფილკირი 1:1 გრინდავიკი



# ალექს ტანგეიმ მღვრიე წყალში ღლავი დაიჭირა

**ალექს ტანგეი** მართლაც ბედნიერ ვარსკვლავზე ყოფილა დაბადებული. საყოველთაო კრიზისსა და სრულიად გაურკვეველ სიტუაციაში, რომელიც ამჟამად ნჰლ-ში მეფობს, „კოლორადოს" ფორვარდმა ზღაპრული კონტრაქტის გაფორმება შეძლო. შარშან ჰოკეისტის ჯამაგირი 1,25 მილიონი დოლარი იყო. შემდეგ ალექსმა და მისმა აგენტმა ხელფასის მნიშვნელოვანი მომატება მოითხოვეს და ჰქონდათ კიდეც საბაბი — ჯერ კიდევ ორი წლის წინ ტანგეის გაყიდვას უპირებდნენ, მაგრამ გასული სეზონი მან ბრწყინვალედ ჩაატარა და გუნდის მამებს დაუმტკიცა, რომ „ეველანშის" ერთ-ერთი გამწევი ძალაა. მიუხედავად იმისა, რომ ტანგეიმ 11 თამაში გამოტოვა, ლიგის ბომბარდირთა დავაში 79 ქულით მე-9 ადგილი დაიკავა, ხოლო 59 საგოლე პასით მესამე იყო.

გუნდის მფლობელები თავიდან თავს იკავებდნენ, მაგრამ საქმის არბიტრაჟში განხილვის საფრთხე რომ იგრძნეს, უმალ გონს მოეგნენ და ალექსი ერთწლიანი „ნოყიერი" კონტრაქტით დაასაჩუქრეს — იგი 4,25 მილიონ დოლარს მიიღებს, ანუ 3 მილიონით მეტს და ეს მაშინ, როცა მოთამაშეთა უმრავლესობა იმაზე ოცნებობს, როგორმე ჯამაგირი შეინარჩუნოს. თუმც მან ეს ჭეშმარიტად დაიმსახურა.






ნიკოლაი ჟერდევი ცსკა-ში შარშანდელი გაქცევის შემდეგ ბრუნდება

# რა კონფლიქტი?

## ცსკა დეზერტირს დაბრუნებას სთხოვს

**ჯერ კიდევ** ნახევარი წლის წინ არავინ იფიქრებდა, რომ „კოლუმბუსის" ფორვარდ ნიკოლაი ჟერდევსა და მის ყოფილ გუნდ ცსკა-ს შორის ურთიერთობა აღდგებოდა. ცსკა-დან გაპარულ 19 წლის ფორვარდს კლუბში დეზერტირად მოიხსენიებდნენ და რუსული გუნდის მესვეურთა აყალმაყალის შემდეგ საქმე საარბიტრაჟო სასამართლომდეც კი მივიდა, თუმც ცსკა-მ ეს პროცესი წააგო, რამაც, ცხადია, განსაკუთრებით გაამწარა გუნდის მამები.

და აი, უცებ ამ დღეებში გავრცელდა ცნობა, რომ ჟერდევი მოსკოვშია, ვარჯიშობს და... ცდილობს, კონტრაქტი გააფორმოს ცსკა-სთან. იქით ეცნენ ჟურნალისტები, აქეთ ეცნენ, მაგრამ ჟერდევი დუმდა და ახლოს არავის იკარებდა, გუნდის წარმომადგენლები კი ორი სიტყვით შემოიფარგლნენ. კლუბის გენერალურ დირექტორ იგორ ბრუსილოვსკის თქმით, ჟერდევს სთხოვეს, მთავარ მწვრთნელ ვიაჩესლავ ბიკოვთან შეხვედრამდე ინტერვიუებს მოერიდოს, ხოლო ცსკა-ში დაბრუნების შესაძლებლობის ფაქტი ასე განმარტა — „ნიკოლაის კლუბთან კი არა, ყოფილ თავკაც ვიქტორ ტიხონოვთან ჰქონდა კონფლიქტი, ხოლო სასამართლოში ნჰლ-ს, კერძოდ კი „კოლუმბუსს" ვუჩიოდითო.

„ჩვენი პოზიციით, ჟერდევის ცსკასთან კონტრაქტი ახლაც ძალაშია და ლოკაუტის შემთხვევაში ის რუსეთში იასპარეზებს. არ არის გამორიცხული, კვლავ მშობლიურ გუნდში დაბრუნდეს" — თქვა მოხელემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სპაიდერმენი

ფრანგი ალენ რობერი, ვინაც სახელი მსოფლიოს უმაღლეს შენობებზე აი, ეგეთი ობობისებრი აცოცებებით გაითქვა, ამჯერად ჯაკარტაში, ინდოსატის 120-მეტრიან შენობაზე ასვლას ლამობს. ქვემოთ ამ ამბით ალგზნებული მილეთი შეკრებილა — ხუმრობა საქმე ხომ არ არის, დაუზღვეველი კაცი ამსიმაღლეზე მიბობღავდეს.



REUTERS ჯაკარტიდან

# დროშის გადაცემა

მექსიკის პრეზიდენტი ვისენტე ფოქსი სახელმწიფო დროშას გადასცემს წყალში მხტომელ ფერნანდო პლატასს. მექსიკის ოლიმპიური დელეგაცია სწორედ ამ დროშით ჩაივლის ათენის ოლიმპიადის გახსნის ცერემონიალზე.



REUTERS მეხიკოდან




REUTERS ბაღდადიდან

# ბაღდადური

ბაღდადელი ძალოსანი მოჰამედ აბდულ მუნამი ათენის ოლიმპიადისთვის ემზადება. ერაყი ათენში მამაკაც ფეხბურთელებს, მძლეოსნებს, მოკრივეებს, მოცურავეებს, ტაეკვანდოელებსა და ძალოსნებს გზავნის. მათთან ერთად მხოლოდ ერთი მძლეოსანი ბანოვანი იქნება.



REUTERS ლესტერიდან

# ტაკუნები

ეს საუცხოო ტაკუნცულები „ჩინზანოს“ გამრეკლამებელ მავან გოგოცუნას ეკუთვნის. მისი ცოცხლად ხილვის სიამოვნება თქვენ ამ კვირას მოტომრბოლთა დიდი ბრიტანეთის გრან პრიზე გექნებოდათ.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge